პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

12 თებერვალი კვირა

რედაქციის მისამართი: თბილისი, [illegible]

ტელეფონები: საოლქო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 34 კვირა, 12 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 12 თებერვალი 1922 წ. № 34

## ყველა მაზრის პარტკომებს და რაიკომებს საქართველოს კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა დაწესებულებებს

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი გაცნობებთ, რომ ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის დადგენილებებით შემდგარი არის სამდივნო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. მამია ორახელაშვილი, მამულია სამსონი და საბაშვილი. მთელი კორესპონდენცია უნდა გადაიგზავნოს ამ მისამართით (რუსთაველის პროსპექტი სახლი № 22) ს. კ. პ. ც. კ.

საიდუმლო კორესპონდენციები გამოიგზავნება ამავე მისამართით, წარწერით: „საიდუმლო“ პირადათ ც. კ—ს მდივანს. აკრძალულია კორესპონდენციების გამოგზავნა რომელიმე მდივნის გვარზე.

ც. კ. სამდივნო.

## ვინ ვის?

საბჭოთა ფედერაციის შეურიგებელმა და მოსისხლე მტერმა—მსოფლიო იმპერიალიზმმა—შესცვალა თავის ტაქტიკა სტრატეგია ამ წითელი ფედერაციის მიმართ. ტაქტიკა კონვენციის, იარაღით დაპყრობის, ტაქ- [illegible]

ძლიერ მტერზე გამარჯვებით დამთვრალი ანტანტა; ასე ვერ მოიქცეოდა იგი, ვინაიდან ზედმიწევნით ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა საშიშროებას და საფრთხეს წარმოადგენდა მსოფლიო კაპიტალიზმისათვის [illegible]

თ. კალანდაძე.

## წითელი პრესა

ბერლინის რუსული კომუნისტური გაზეთი „Новый Мир“ (№ 261) თავის მეთაურში: „ცვლილება“ [illegible]

„მთლათ სამწუხარო იქნებოდა რომ ადამიანი თან და თან არ ხდებოდეს უფრო ჭკუიანი“-ო—ამის თქმა უყვარდა ხოლმე ავგუსტ ბებელს.

გაზ. Berliner Tageblatt“-ი და Vorwaerts“-ი ბეჭდავენ თავიანთ პირველ გვერდზე წერილებს საბჭოთა რუსეთის შესახებ. ორივე წერილი მომასწავებელია წინ გადადგმული ნაბიჯის რუსეთის ჭეშმარიტი მდგომარეობის გასაგებათ ორივე წერილში ისმის ახალი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი აშკარათ მეგობრული ტონი.

როგორც სიმპტომი ღრმა ცვლილების გერმანიის საზოგადოების ფართო წრეების დამოკიდებულებაში საბჭოთა რუსეთთან, ორივე გზის წერილები ღირსია ჩვენი მკითხველების განსაკუთრებული ყურადღების. არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც „ფორვერტსი“, ისე „ბერლინერ ტაგებლატტი“ ფრიად ავტორიტეტული ორგანოებია იმ კოალიციის, რომელზედაც ეყრდნობა გერმანიის დღევანდელი მთავრობა.

„ბერლინერ ტაგებლატტი“ ბეჭდავს შეფფერის წერილს სათაურით: „საბჭოთა რუსეთში“, რომელსაც დართული აქვს ქვე-სათაური: „საბჭოთა რუსეთში გაგზავნილი ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან“.

წერილი შინაარსიანია და და საინტერესო. პირველ ყოვლისა ტონი. (როგორც ცნობილია ტონი ქმნის მუსიკას). ტონი საბჭოთა ხელისუფლებისადმი არის არა მარტო კეთილგანწყობილი, არამედ მასში ისმის ნოტები პატივისცემით, მოწიწებით ალსავსე გაკვირვების.

პირველ ყოვლისა ავტორი ადასტურებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც იბრძვის რამდენიმე ფრონტზე, უცხოელთა დახმარებაზე დაყრდნობილ თეთრგვარდიელთა შემოსევის წინააღმდეგ, გააღვიძა რუსეთის ხალხში ჯერ უნახავი ძლიერების გრძნობა ეროვნული შეგნების.

„რუსეთის ხალხმა გამოიღვიძა სულიერათ და უფართოესი მასები განთავისუფლდნენ გონებრივი უილაჯობისაგან... „მასსა გადაიქცა ხალხათ“. ქვევით შეფფერი ადასტურებს, რომ ინტერვენციის იდეა სრულიად დამარცხდა და სულიერი განწყობილება ინტელიგენციის, ბურჟუაზიის, აფიცრობის შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ. იმ ემიგრაციის, რომლებიც უცხოელთა დახმარებით მოელიან შეიარაღებულ ინტერვენციის, და რუსეთში დარჩენილი ინტელიგენციის შორის ჩნდება სულ უფრო და უფრო დიდი უფსკრული.

იხსენიებს რა დიდი ქებით საბჭოთა დიპლომატიას და მის ხელმძღვანელებს, ავტორი აღნიშნავს საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე უფრო შესანიშნავ თვისებათ იმ გარემოებას, რომ „რუსეთი სთვლის ყველა დამონებული ერების დაცვას, როგორც მნიშვნელოვან ნაწილს თავისი აქტიური პოლიტიკისას“.

ეხება რა შემდეგ ანტანტის დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთთან, „ბერლინერ ტაგებლატტ“-ის კორესპონდ. გადადის რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხზე. ის ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება საშუალებას ხმარობს, რათა დიდმა სახელმწიფოებმა იცნონ ის და ამაში მას მხარს უჭერენ ბურჟუაზიის ყველაზე უფრო გამოსადეგი წრეები.

„გერმანიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გადაწყდება ამ ცნობის საკითხი. დროა ვილაპარაკოთ რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ გარკვეულათ.

მოსკოვში ფიქრობენ, რომ გერმანიამ არ ისურვა ესარგებლა ყველაზე უფრო ხელსაყრელი შემთხვევებით, რომლებიც მიეცა მას, რუსეთ-გერმანიის დასაახლოვებლათ“..

„ფორვერტსი“ კატეგორიულია რუსეთ-გერმანიის დაახლოების შესახებ. მისთვის რუსეთის აღორძინება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წინასწარი პირობაა მსოფლიოში მძვინვარე უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. „ამიტომ საერთაშორისო პროლეტარიატმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ რუსეთის კარები ფართოთ და მალე იქნეს გაღებული არა მარტო მისი, საკუთარი ეკონომიური განვითარების, არამედ ყველა ქვეყნების სასარგებლოთ, საერთაშორისო მუშათა კლასი უნდა დაეხმაროს გადაალახვიოს საერთაშორისო სამეურნეო და სამრეწველო კაპიტალის სიმკრთალე და კაბინეტების რეაქციონური მიდრეკილებანი.

„ფორვერტსი“ იწონებს—საბჭოთა ხელისუფლების ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და ადასტურებს რომ ინტელიგენცია ურიგდება დღეს ბოლშევიკებს და მიდის მასთან ხელიხელ ჩაკიდებული. საერთაშორისო მუშათა კლასი უნდა შეეცადოს რათა დასავლეთი დაუახლოვდეს ეკონომიურათ რუსეთს.

სარედაქციო შენიშვნაში „ფორვერტსი“ სრულიად ეთანხმება ავტორის აზრს, რომ ევროპის მუშათა კლასმა მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოთა ხელისუფლებას, რუსეთის ეკონომიური აღორძინებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ვესალმებით „ფორვერტსისა“ და „ბერლინერ ტაგებლატტის“ წერილებს, როგორც მაჩვენებელს გერმანიის ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ფართო წრეების დამოკიდებულების შეცვლისას საბჭოთა რუსეთისადმი“.

## თეთრგვარდიელთა პრესა

თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში ერთ დროს მტკიცე რწმენა სუფევდა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებთან დამოკიდებულებაში ეს ემიგრაცია შეადგენდა „ერთიან ფრონტს“. ამაში ხედავდნენ მისი ხელმძღვანელი წრეები მთელ იმედებს თავის მომავალი გამარჯვებისას. დრომ განვლო, ინტერვენცია ინტერვენციაზე მარცხდებოდა, საბჭოთა რუსეთი ერთი მეორეზე გმირულათ უმკლავდებოდა ახალი და ახალი ძალებით დაწყებულ შემოტევებს რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ და უკეთეს შემთხვევაში ცხვირპირ გასწორებულს და გასისხლიანებულს ისტუმრებდა უკან. შედეგი: ემიგრაცია უიმედობამ მოიცვა. ოდესღაც თითქოს ერთიანი, ის დაირღვა, გამოჩნდნენ მათ შორის „შემთანხმებლები“ და „დეზერტირები“. ეს პროცესი, როგორც არა ერთხელ იყო ჩვენ გაზეთშიც აღნიშნული, შორს წავიდა, მიუხედავათ დაინტერესებულთა მუდმივი მოწოდებისა გაერთიანებისაკენ რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. ამგვარ მოწოდებებს ეხება პ. მილიუკოვის გაზეთი ბერლინში „გოლოს როსსიი“ (№ 840). დღეს ეს უკანასკნელიც დარწმუნდა, რომ ასეთ მოწოდებებს არარასფერი მნიშვნელობა აღარ აქვს. პირიქით:

„ეს მოწოდებანი სამწუხაროთ მოწმობენ მათი ავტორების მიერ სინამდვილის სრული შეუგნებლობაზე. საკმაოა ზერელათაც განვიხილოთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა, რომ ვიგრძნოთ მთელი კომიკური უნიადაგობა ემიგრაციის გაერთიანების გეგმების. უტოპიური არის „ერთიანი ემიგრანტული ოჯახის“ შექმნის გეგმები, მაგრამ თვით აზრი იდილიური თანხმობის მიღწევის შესახებ კიდევ უფრო უტოპიურია. **უნდა საბოლოოთ ვაღიაროთ ფაქტი ემიგრაციის დაშლის რამოდენიმე უმთავრეს ჯგუფებათ, რომელთა შორის არავითარ გაერთიანებაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება.** სოციალური და პოლიტიკური იდეალები ემიგრაციის სხვადასხვა ნაწილების იმდენათ განსხვავებული არიან, რომ კიდეც რომ მოხერხებულიყო რაიმე საწაულით ფორმალური განხორციელება მისი, არასფერი აქედან არ გამოვიდოდა გარდა სიყალბისა და არევ დარევისა. **ჩვენი გზები საბოლოოთ დასცილდნენ ერთმანეთს**“...

„ფსიხოლოგიურათ არა ნაკლები უფსკრული სძევს ოდესღაც ერთიანი რუსეთის ლიბერალური საზოგადოებრიობის ჯგუფებს შორის. დასცილდნენ ერთმანეთს, სამწუხაროთ, მათი გზებიც. სხვადასხვა დამოკიდებულება რევოლიუციასთან, სხვადასხვა რწმენა რუსეთის აღორძინების გზებში და საშუალებებში, სხვადასხვანაირი გაგება არმიის დარჩენილი ნაწილების ღირებულების.. **ჰქმნის მათ შეერთებას შეუძლებლათ და უმიზნოთ.** ამ ურყევი ფაქტების (**железних фактов**) გამო მწუხარებისთვის თავის მიცემა, შეიძლება ძალიან საპატიო საქმე იყოს, მაგრამ უსარგებლო რამ არის“.

სინამდვილე მასწავლებელია და მის მწარე გაკვეთილებს როგორც ეტყობა, საკმაო ძლიერებით შეუნგრევია ლიბერალების სქელი შუბლებიც და დაუფლებია მათ თავს.

## ნარევი

### პოლიტიკური კრიზისი რუმინეთში

რუმინეთში პოლიტიკურ კრიზისის გამო ა. ბადულესკუ სწერს „როტე ფანეში“ შემდეგს:

„ა. წ. 28 ნოემბერს პარლამენტის მოწვევის შემდეგ კრიზისი გამწვავდა. გაზეთების უმრავლესობა მკაცრათ აკრიტიკებდა აფერესკუ—ტაკე იონესკუს მთავრობის ქცევას და უნდოდა მისი შეცვლა. საკითხი დადგა იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაეკავებია გენერალ აფერესკუს ადგილი. წინანდელი კონსერვატორები, რომლებმაც დააარსეს ახლა კონსერვატიულ პროგრესისტების პარტია, ვერ გრძნობენ თავს საკმარის ძლიერათ, რათა შეადგინონ დამოუკიდებელი მთავრობა. ლიბერალური პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრატიანუ, მიისწრაფვის ხელისუფლებისაკენ და აცხადებს ამას აშკარათ კრებებზე და მეფის სასახლეში. რომ უზრუნველიყოს შედეგი, ის ცდილობს შექმნას ერთიანი ფრონტი სემიგრადის ნაციონალურ პარტიასთან. გლეხების პარტიაც აგრეთვე, რომელსაც ხელმძღვანელობენ მასწავლებლები: მიხალიაში და ლიუხო, ხელისუფლებაზე ფიქრობს, ის მოითხოვს ახალ არჩევნებს. მაგრამ არჩევნები საფრთხეს წარმოადგენს რუმინიის მთელი რეაქციისა და მთავრობისათვის, ვინაიდან მცხოვრებთა ყველა წრეები უკმაყოფილონი არიან, და ეს უკმაყოფილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმართულებების მიერ. საფრთხე არის ისეთი, რომ სემიგრადის ნაციონალური უმცირესობანი, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ წარსულ არჩევნებში, ახლა შეადგენენ ბლოკს და გაიყვანენ პარლამენტში 60 დეპუტატს. სოციალ დემოკრატები კმაყოფილდებიან პროპაგანდით არჩევნების დროს და გრძელი საპარლამენტო სიტყვებით. კომუნისტურ პარტიას არაფრის გაკეთება არ შეუძლია პარლამენტში, ყველა მისი ბელადები ჩაწყვდეული არიან ციხეებში, ყოველი ახალი აგიტატორი რისკს წევს მოკლულ იქნეს და ყოველ დღე იღება მსხვერპლი ამხანაგებს შორის. ბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებიც ცდილობენ, უმთავრესად, მიუკოცდენ ახლოს ხაზინის ფულის ტომარას, ფაქტიურათ არავითარი პროგრამა არ აქვთ, მაგრამ სიტყვებით კი უკიდურეს დემოკრატებათ მოაქვთ თავი. რეაქციონური პარტიები არკვევენ ციტატებს დემოკრატიასა და მშვიდობიან ალმშენებლობაზე. ბრატიანუს ლიბერალური პარტია, რომელიც ხასიათდება სისხლის მღვრელი ტერორით პირდაპირ ომის შემდეგ აყენებს თავის ლოზუნგს სამართლიანობასა და თანასწორობას. მარკილომანის კონსერვატულ პროგრესიული პარტია აყენებს კოალიციონურ მთავრობის მოთხოვნას. გლეხური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც სერიოზულ უსიამოვნებას აყენებს მთავრობას და რომელსაც დევნის ის. ამ პარტიის არატორებს მთავრობის ფინანსიურ პროექტების კრიტიკის უფლებასაც კი არ რთავენ საზოგადოებრივ კრებებზე. ეს პარტია მიმართავს ქალაქის პროლეტარიატს, იცავს მას, ეუბნება საერთო კლასიურ ბრძოლაზე 15.000 ბოიარების (მსხვილი მემამულე) წინააღმდეგ, მაგრამ ერთსა და იმავე დროს მიმართავს აგრეთვე მეფესაც. ამ პარტიის სიმპატიები პროლეტარიატისადმი წმინდა დემაგოგიური ხასიათისაა. სახალხო პარტია თეთრი ტერორის გმირის, პრემიერ, გენერალ აფერესკუს მთავრობის პარტიაა. ეს არის პარტია, რომელიც არ ცნობს არავითარ კანონებს, ბედავს გააფრთხილოს ტერორის წინააღმდეგ ლიბერალური პარტია.

რუმინეთის მთავრობა, რომელიც დაადგა ყველაზე საძაგელი შავი ტერორის გზას თავის ქვეყანაში, რომელიც იხრჩობა ფინანსიურ სიძნელეთა და ბაიარების ბატონობის გამო, აღმოჩნდა ბუნებრივად ხალხისაგან გარიყული და დეპეშები რუმინეთიდან ადასტურებენ იმას, რომ ტაკე იონესკუს მთავრობაც ვერ პოულობს დასაყრდნობს ფართო სოციალურ წრეებში“.

(მოსკოვის „პრავდა“ № 16).

## წითელ რესპუბლიკებში

### საქართველო

#### ძმური დახმარება

##### დეპეშა ფოთიდან

7 თებერვალს ღამით ფოთში მოვიდა ბულგარეთის გემი „ალფა“, რომელმაც მოიტანა 6,600 ფუთი ხორბალი და ტანისამოსი საჩუქრად საქართველოს კომპარტიისათვის. საქონლის გადმოტვირთვას დაესწრება თითო წარმომადგენელი პოლიტბიუროდან, პარტკომიდან და რევკომიდან ტანისამოსის ნამდვილი რაოდენობის გამოსარკვევად.

7 თებერვალი, 1922 წ., №113.

დენიაგა.

#### მისალმება კომპარტიას სენაკის მაზრის უპარტიო გლეხთა ყრილობისაგან

სენაკის მაზრის უპარტიო გლეხთა ყრილობა, შეკრებილი 3 ამა თებერვალს სამაზრო მთავრობის მოწოდებით, მიწის ნორმის გამოსამუშავებლად, მხურვალედ ესალმება მშრომელთა მოწინავე რაზმს კომპარტიას და გამოსთქვამს ღრმა რწმენას რომ ის არას დროს არ უღალატებს მშრომელთ და ყველა საკითხებს გადაჭრის მათ სასარგებლოთ. გაუმარჯოს კომპარტიას და მასთან ყველა მშრომელთა მჭიდრო კავშირს!

ყრილობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მამულია**.

## გაფიცვები გერმანიაში

### გაფიცვები დამთავრდა მთავრობის დათმობით.

**ნაუენი.** 9 თებ. (რადიო) გერმანიაში რკინისგზელთა გაფიცვები დამთავრდა 8 თებერვალს მთავრობის მიერ დათმობათა შემდეგ.

**ბერლინი.** 9 თებ. (რადიო). იმ შეთანხმების გამო, რომელიც მიღწეულ იქნა გერმანიის მთავრობასა და რკინისგზელთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის შორის, გერმანიის რკინისგზის მუშათა და მოსამსახურეთა ფედერაციის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა თავის წევრებს შესწყვიტონ გაფიცვა და განაახლონ მუშაობა 9 თებერვალს ნაშუადღევს.

### მუშების გამარჯვება.

**ნაუენი.** 9 თებ. (რადიო) მთავრობა დასთანხმდა დააკმაყოფილოს მუშათა მოთხოვნილება გაფიცვების ხელმძღვანელთა დისციპლინარულ დევნისაგან განთავისუფლების შესახებ.

### მენშევიკები უკმაყოფილონი არიან გაფიცვებით.

**ბერლინი,** 9 თებერვალი (რადიო). „ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ რკინისგზელთა მიერ გამოცხადებულმა და ჩატარებულმა გაფიცვამ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ყველა ტრადიციებსა და წესებს, დიდი ზარალი მიაყენა გერმანიას. ბოლოს და ბოლოს ამ გაფიცვას არაფერი ისეთი არ მოუტანია, რომლისადმი მიღწევაც შეუძლებელი ყოფილიყო ასეთი უკიდურეს ზომისადმი მიუმართავად.

### ქალაქის მუშათა გაფიცვა გრძელდება.

**ნაუენი,** 9 თებერვალი (რადიო). ქალაქის მუშათა გაფიცვა ბერლინში გრძელდება. მუშებმა უარყვეს წინადადება არბიტრაჟის შესახებ ხმის უმეტესობით. ბერლინის მუშათა საერთო კრებაზე გამოვიდნენ კომუნისტები და მოითხოვეს გამოცხადებულ იქნას გერმანიაში საყოველთაო გაფიცვა და წაუყენონ მთავრობას არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მოთხოვნილებანიც.

### ვირტის მოწოდება.

**ნაუენი,** 9 თებერვალი (რადიო). კანცლერ ვირტმა პროფკავშირების ბელადებს მიმართა მოწოდებით, რომელშიდაც იგი სწერს: „მოკავშირეთათვის მოლაპარაკების შესახებ წინადადების მისაცემად რა საჭიროა, რომ ისინი დარწმუნდნენ გერმანიის ეკონომიურ უნარიანობაში. ეჭვ გარეშეა, არავინ დაიჯერებს, რომ გერმანია, თუ იგი იქნება ანარქიის მდგომარეობაში შესძლებს აწარმოვოს მოლაპარაკება და შეასრულოს ვალდებულებანი. თუ გაფიცვა გაგრძელდება, ყოველივე ცდა გერმანიის აღდგენისათვის ამაო იქნება.

### ზუბრები მუშაობენ

**ბერლინი.** 9 თებერვალი, (რადიო). გერმანიის მთავრობის სხდომაზე ლიუდენდორფის მოადგილემ გზათა მინისტრმა გენერალ გრენერმა კატეგორიული უარი განაცხადა გაფიცულებთან ყოველივე შეთანხმებისა და დათმობაზე, მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ნიადაგზე.

### პროტესტი ებერტის წინააღმდეგ.

**ნაუენი.** 9 თებერვალი, (რადიო). კიოლნიდან მოსულ ცნობით, მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა ხმის უმეტესობით 100 ხმით 9-ს წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია თავისი წევრების რიცხვიდან პრეზიდენტ ებერტის გამორიცხვის შესახებ, უკანასკნელ ბრძანებათა გამოცემის გამო, რომლითაც იგი ემუქრება მათ გაფიცვაში მონაწილეობისათვის მკაცრი სასჯელით.

### გაფიცვის პროგრამა.

**მოსკოვი.** 10 თებერვალი. (რადიო) გაზეთ „როტე-ფონეში" გაჩაღებულ გაფიცვების დროს იყო დაბეჭდილი მოწოდება ყველა მშრომელ მოსახლეობისადმი გაფიცულებთან სოლიდარობის შესახებ შემდეგ მოთხოვნილებათა შესასრულებლად: საგანგებო დაცვის მოსპობა, გაფიცულებთან მოლაპარაკების წარმოება გაფიცვის ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მონაწილეობით, გარანტიები გაფიცულთათვის შრომის დაცვის კანონის და სამუშაო დროის დაურღვევლობის შესახებ, რეაქციონურ მოხელეთა დათხოვნა, რომლებიც მუშაობენ გზათა სამინისტროში, ნახშირის მაღაროების ექსპროპრიაცია რკინის გზის შემოსავლის გაძლიერების მიზნით.

### ბნელი კვირა.

**მოსკოვი,** 11 თებერვალი, (რადიო). 6 თებერვლის თარიღით ამერიკის რადიო განოვერიდან იტყობინება შემდეგს: „დღეს ყველაზე უფრო ბნელი კვირა არის რევოლიუციის დღიდან ბერლინის ისტორიაში. მთელი ქალაქი, თეატრებით, კინემატოგრაფებით, რესტორანებით და გოსპიტლებით მოცულია ბნელით. ექიმებს აღარ ძალუძთ ემსახურონ ავადმყოფებს და აწარმოვონ უბრალო ოპერაციები. თუმცა ბერლინის ქალაქის თავი დარწმუნებულია, რომ ქალაქის მომარაგება სურსათით ჯერ კიდევ არ იმყოფება საშიშ მდგომარეობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა მცხოვრებნი შიმშილისაგან სიკვდილის შიშით მიუხედავად დიდი ყინვებისა, ვებერთელა კუდებს ქმნიან კოლონიალურ საწვრიმალო დუქნების წინ, რომლებიც ყიდიან უკანასკნელ ლუკმა პურს ფასები ყოველ საათში წარმოუდგენლათ იზრდება. სურსათს მალავენ. წყალსადენის ონკანები ქუჩაში გარშემოხვეულია ხალხით; ყველას მიაქვს ვედროები, ქოთნები, დოქები და გაცხოველებით ლაპარაკობენ ბნელ ამბების შესახებ. ქალაქის მუშათა გაფიცვის გამო აღარ არის წყალი, ელექტრონი, გაზეთი და ტრამვაი. გაზეთებითი მოტყუებულნი გაფიცვების მსვლელობის შესახებ არა სწორ ცნობების მოწოდებით, ბევრმა არ მოიმარაგა წყალი. ბევრმა სასტუმრომ და რესტორანებმა ვერ გაავსეს თავიანთი ჭურჭლები და წყლის მაგივრად ხმარობენ თოვლს. ქარხანათა უმეტესი ნაწილი უკვე დახურულია. თეატრები, დიდი ლუდხანებით და რესტორანები დახურულია. ქუჩაში სრული სიბნელეა. რამოდენიმე მატარებელი, რომლებიც დადიან ბერლინსა და მთავარ ქალაქებს შორის, მუშაობენ რკინის გზის უმაღლეს თანამდებობის მოსამსახურენი.

### ქალაქის მუშათა გაფიცვა გრძელდება.

**მოსკოვი.** 10 თებერვალი (რადიო). ნაუენიდან მოსულ ცნობით, 9 თებერვალს, მიუხედავად გაფიცვის დამთავრებისა და მთავრობის დათმობისა, ბერლინის მუნიციპალიტეტის მუშათა გაფიცვა გრძელდება. მუშების უმრავლესობამ ორნახევარ ხმით უარყვეს სამედიატორო სასამართლოს დადგენილება მუშათა მოძრაობის ლიდერებმა გასცეს ბრძანება მუშაობის განახლების შესახებ, თუმცა ბერლინის მუშათა საბჭოს საერთო კრებაზე ინციდენტების შემდეგ, რომელიც გამოიწვიეს კომუნისტებმა, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა მთელ გერმანიაში საერთო გაფიცვების გამოცხადებას.

## გენუას კონფერენციისათვის

### მუშების აზრი ლენინის მოწვევის შესახებ.

**ხარკოვი,** 8 თებერვალი, (რადიო). ხარკოვის მეორე სახელმწიფო ქარხნის მუშებმა გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: „ჩვენ მუშები ვაცხადებთ, რომ არ გვსურს გაუშვათ „ილიჩი" გენუაში. ბურჟუაზიის ყველა ლიდერები—პუანკარე, ლოიდ ჯორჯი და გარდინგი რომ მოგვცენ მძევლებად ჩვენ მაინც არ ვანდობთ ბურჟუებს ვლადიმერ ილიჩს".

### გენუა და გოლანდია.

**მოსკოვი,** 9 თებერვალი, (რადიო). გააგიდან მოსულ ცნობით, გოლანდიის მთავრობამ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა გენუის კონფერენციაში.

### შეერთებული შტატები და გენუა.

**მოსკოვი** 9 თებერვალი, (რადიო). „დეილ-ტელეგრაფ"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს: „როდესაც ვარკვევთ საერთოდ ამერიკის იმ პოზიციას, რომელსაც იგი დაიჭერს გენუის კონფერენციის საკითხში, უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოებს ბრძოლა ამერიკის ფინანსიურ წრეებსა და სენატის რესპუბლიკანურ პარტიის ზოგიერთ ლიდერთა შორის, რომლებიც პირველებთან დაკავშირებული არიან იმ ვალდებულებებით, რომელნიც იკისრეს მათ 1921 წ. არჩევნების და სენატის ხელახალ არჩევნების დროს.

### ფრანგები ცდილობენ კონფერენციის გადადებას.

**მოსკოვი,** 9 თებერვალი, (რადიო). ნაუენიდან მოსულ ცნობით, პუანკარე შეეკითხა მოკავშირეებს, მოითხოვენ თუ არა ისინი კონფერენციის მოწვევას, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები არ უთანაგრძობენ ამას. საფრანგეთის მთავრობას ზედმეტად მიაჩნია განიხილოს, უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებამდე, ევროპის აღდგენის პრობლემა წინანდელ მტრებსა და ნეიტრალურ ქვეყნებთან. რეიტერის სააგენტოს ოფიციალური ცნობით, გენუის კონფერენციის გადადების საკითხი ჯერ არ განხილულა. საფრანგეთის მთავრობა აწყობს ექსპერტების თათბირს, რომელიც წინასწარ განიხილავს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც სდგანან კონფერენციის დღიურ წესრიგში.

### საფრანგეთი მოითხოვს გარანტიებს.

**რომი,** 9 თებერვალი, (რადიო). 7 თებერვალი ბრიტანიის და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს ერთ დროს გადასცეს საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმი გარანტიების შესახებ, რომლებიც საჭირო იქნებოდა მოეთხოვნათ გენუის კონფერენციის მონაწილეთაგან.

### საფრანგეთის აზრი გენუას შესახებ.

**ბორდო,** 9 თებერვალი, (რადიო). „პტი-პარიზიენი" აცხადებს: „ტანი" ვალდებულია გამოაშკარაოს ის აზრები, რომლებიც ახასიათებენ ოფიციალურ საფრანგეთის გენუის კონფერენციისადმი დამოკიდებულებას უპასუხებს რა ამაზე „ტანი" სწერს: საფრანგეთი სრულიადაც არ ამბობს უარს გენუას კონფერენციაზე მონაწილეობაზე. არ უნდა დაივიწყოთ, რომ საფრანგეთი არის ერთი იმ სახელმწიფოთაგანი, რომელთა სახელითაც მოწვეულია გენუის კონფერენცია და რომელთა სახელით აგრეთვე გაეგზავნა ყველა სახელმწიფოებს მოწვევის ცნობა საფრანგეთი არ ცდილობს არც კონფერენციის ჩაშლას და არც იმ ეროვნებათა თავისუფლების შეზღუდვას, რომლებიც იქნებიან კონფერენციაზე. საფრანგეთის ერთად-ერთი მისწრაფება არის მიმართული იქითკენ, რომ უზრუნველყოს მომავალ კონფერენციის წევრები ყოვლივე მოულოდნელობისაგან

### საფრანგეთის პოზიცია.

**პარიზი.** 2 თებერვალი. (რადიო). „პტი პარიზიენის" ცნობით საფრანგეთის მთავრობის ნოტა, რომელიც გადაეცა მოკავშირეთა მთავრობებს ორშაბათს, სისწორით არკვევს საფრანგეთის მთავრობის პოზიციას გენუას კონფერენციის შესახებ. ნოტაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთი არ არის მტრულად განწყობილი კონფერენციისადმი და მოითხოვს მხოლოდ საჭირო გამაფრთხილებელ ზომების მიღებას, რომ ამით წინდაწინ უზრუნველყონ კონფერენციის დადებითი შედეგები. საფრანგეთი შიშობს რომ მომავალი გენუას კონფერენცია უნაყოფო იქნება, თუ იქ განსახილველი ძლიერ რთული და უძნელესი მომენტის პრობლემები, განხილულ იქნებიან მოუმზადებლად. ამისათვის საფრანგეთი მოითხოვს, რომ ევროპის საქმეების შესახებ გენუაში ოფიციალურ კონფერენციის გახსნამდე, მოკავშირეები შეთანხმდნენ პირობათა გარკვეულ აზრის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია კანის კონფერენციის 6 აპრილის დადგენილებაში და უნდა გაითვალისწინონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფერენციის პროგრამის შესრულებას.

### ინგლისის მეფე გენუას შესახებ.

**რომი,** 9 თებერვალი (იტალიის სააგენტოს რადიო). თემთა პალატის მორიგ სხდომის გახსნის დროს მეფე გეორგმა თავის სიტყვაში აღნიშნა გენუას კონფერენციის მოწვევის თანადროულობა, რომელიც საჭიროა საერთო ზავის დასამყარებლად. შემდეგ თავის სიტყვაში მეფე გეორგმა აღნიშნა ახლო აღმოსავლეთის საკითხის ჩქარა მოწესრიგების საჭიროება, სახელმწიფო ხარჯების შემცირება და უმუშევრობის საკითხის მოწესრიგება. ამ საკითხებს თემთა პალატის მიმდინარე სესიებში უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება.

### ამერიკის მონაწილეობის გამო.

**რომი,** 9 თებერვალი (იტალიის დეპეშათა სააგენტოს რადიო). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მახლობელ კვირაში საიმედო პასუხი მოვა ამერიკიდან მის მიერ გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

## ინგლისი და რუსეთი

**პარიზი.** 11 თებერვალი. „ტანი" ერთ ერთ მოწინავე წერილში სვამს საკითხს: რით უნდა აიხსნას ინგლისის დაინტერესება რუსეთის საკითხით? გაზეთი ასეთ პასუხს იძლევა: თავდაპირველათ ინგლისი შეწუხებულია უმუშევრობისაგან, რომელიც გამოიწვია მსყიდველთა უყოლობამ. აშკარაა, აღორძინებული რუსეთი მშვენიერი ბაზარი იქნება, სადაც გასაღდება ის საქონელი, რომელიც ეხლა საწყობებში ყრია. ამას გარდა აღორძინებული რუსეთი ხელს შეუწყობს ეკონომიურ აღორძინებას გერმანიისას, რომელიც ამის წყალობით წინანდელ ადგილს დაიჭერს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში და ამავე დროს პირველ ადგილს ინგლისის მოვალეთა ჯგუფში.

ზოგიერთი გარემოება ძალას ატანს ინგლისს დააჩქაროს რუსეთის აღდგენა. ინგლისელების აზრით, ისინი უნდა ეშურონ, რათა ისარგებლონ რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობით და მოიპოვოს რაც შეიძლება სასარგებლო პირობები. ინგლისელები არა უსაფუძვლოთ ფიქრობენ, რომ ბოლშევიკების დამხობა გამოიწვევს ანარქიას. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ინგლისს ეშინიან, რომ მომავალი მთავრობა, რომელიც დაარსდება რუსეთში თუ ბოლშევიკები დაეცემიან უარყოფს, ინგლისის პირობებს და უფრო სასარგებლოთ ჩასთვლის სხვა ქვეყნის პირობებს. ინგლისს ეშინიან აგრეთვე გერმანიის კონკურენციისა. ცნობილია, რომ გერმანიის მრეწველობა ძლიერ მარჯვეთ მუშაობს რუსეთში. გერმანიამ გვგონია, მეტად მოხერხებულად იშოვა კრედიტები ბოლშევიკების შეკვეთების შესასრულებლად. მიღებულ ცნობებით, უკვე ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთის წარმომადგენელსა და პრუსიის დიდი ბანკის გამგეობას შორის. ამ შეთანხმებით საბჭოთა მთავრობას უფლება ეძლევა იყიდოს გერმანიაში ყოველნაირი საქონელი 300 მილიონ მარკისა. შესაძლებელია, გერმანიის ბანკებმა კიდევ გაუხსნან საბჭოთა რუსეთს კრედიტი 300 მილიონ მარკისა. ინგლისი სრულიადაც არა სთვლის თავისთვის დიდად სასარგებლოთ მეტათ დიდ კომერციულ მეგობრობას რუსეთსა და გერმანიას შორის. ინ- სი ხედავს, ზოგიერთ თონაც დააარსოს რამდენიმე ორ- ზაცია, რომლებიც არა თუ მ- კონკურენციას გაუწევენ გერ- მრეწველობას, არამედ ბევ- ეცდებიან რუსეთის ბაზრის და- ბას.

საფრანგეთს, რომელსაც დიდ- ტერესები აქვს რუსეთში, ეხლან- წუთი შესაფერისად არ მიაჩნ- ვის კაპიტალის რუსეთის საქ- დაბანდებისათვის. რუსის ბან- კურსის რყევისა და რუსეთის ბ- ტის უთანასწორობის ხანაში, ეხლა რუსეთში ვხედავთ, შეუძ- ლია იმის გათვალისწინება— ჯული კაპიტალი მოგებას მო- თუ ზარალს, რუსეთის ფინან- კრიზისის გადაწყვეტა მეტათ ამოცანაა და მისი გადაწყვეტა ლება მხოლოთ ევროპის და ამე- საერთო მეცადინეობით.

## საბჭოთა რუსეთი და გენუა

**მოსკოვი,** 9 იანვ. „იზვესტია" უძღვნის მოწინავეს გენუის კონფერენციას, იგი სწერს: თუ კონფერენცია გენუაში შესდგება, საჭიროა მის წარჩინებით დასამთავრებლად, რომ ევროპის სახელმწიფოთა მმართველმა ჯგუფებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან მის მოწვევაში, მისცენ თავიანთ თავს ანგარიში არსებულ მდგომარეობის შესახებ. თუ ევროპის სახელმწიფოები უცქერიან რუსეთთან წარმოებულ მოლაპარაკებას, როგორც მის ეკონომიურად დამონების საშუალებას, ან ისეთ საშუალებას, რომლითაც სურთ მათ მოახვიონ თავზე საბჭოთა რესპუბლიკას ისეთი პირობები, რომელიც მათ ვერ შესძლეს გამოეგლიჯათ მისთვის სამხედრო თავდასხმით და ბლოკადის გზით, თუ მათ განზრახვა აქვთ ელაპარაკონ რუსეთს, როგორც არა თანასწორ ქვეყანას და თუ ანგარიშს არ გაუწევენ მის კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილებებს, მაშინ შესაძლებელია წინდაწინ ვსთქვათ, რომ კონფერენცია ვერ გაამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ვამყარებთ ჩვენ და ჩვენი კონტრ-აგენტები. საბჭოთა რესპუბლიკა მზად არის წავიდეს სერიოზულ დათმობებზე თავის მშვიდობიან შრომის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ მას განზრახული აქვს იძულებულ ჰყოს ყველა თავის კონტრ- ტები პატივით მოეპყრან მის უ- ბებს და ანგარიში გაუწიონ მი- ტერესებს. არავითარ ცალმხრი- პიტულიაციის შესახებ არ შეი- ლაპარაკი. ტყუილ-უბრალოდ იბრძოდა საბჭოთა რუსეთი 4 განმავლობაში მის ეკონომიურად დამონებისაკენ მიმართულ ცდებ- ნააღმდეგ.

თავის კონტრაგენტების წინ- დეგ საბჭოთა რესპუბლიკა გამ- შეკავშირებულ გაერთიანებულ ნტით. საბჭოთა რუსეთში არ მ- ვება ცოტათ მნიშვნელოვანი ფიც კი, რომელიც ეწინააღმდეგ- დეს საბჭოთა მთავრობის მიერ ჭერილ პოზიციას ევროპის სახელ- ფოთა მოლაპარაკების საქმეში.

არამც თუ ეს: გამოუკლებლივ ლა ბურჟუაზიულ სახელმწიფო- არის მრავალ-რიცხოვანი ელემენ- პირველ რიგში მუშათა მასსები, ლებიც სრულიად თანაუგრძ- საბჭოთა მთავრობის პოზიციას მასსათა თანაგრძნობა მორალ- ეხმარება რუსეთის მასსას, რამ- დაც მას დასჭირდება გამოაშკა- კაპიტალისტთა მიერ საბჭოთა პუბლიკის სოციალურ და ეკონ- დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მართული განზრახვანი.

## კაპიტალიზმის სამეფოაგშ

### ინგლის - საფრანგეთის კავშირისათვის

**ბორდო,** 9 თებერვალი. (რადიო) ლოიდ ჯორჯი გამოვიდა მოხსენებით თემთა პალატაში ინგლის-საფრანგეთ შორის გარანტიების შესახებ დადებულ ხელ შეკრულების გამო. ინგლის საფრანგეთის განზრახულ ხელშეკრულებას, სთქვა ლოიდ ჯორჯმა, მიზნად აქვს უზრუნველ ყოს საფრანგეთი მის წინააღმდეგ უმიზეზოდ გამოლაშქრებისაგან, იმ შემთხვევისა თუ ხელახლად გამეორდება, ის მოხდა 1890 და 1914 წლებში. შემთხვევაში დიდი ბრიტანეთი ლი თავის ძალღონით უნდა და- როს საფრანგეთის დამპატრონე- თა წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლ- პრემიერმა შემდეგ აღნიშნა, რომ როპა სდგას რეალურ საშიშრ- წინაშე, რომელიც მდგომარეობს ში, რომ გერმანიის ახალგაზრ-

## ომის შემდეგ

VI

(იხ. „კომუნისტი" № 33)

ეკონომიური განსაცდელი, რომელშიაც ჩავარდა ევროპა ოკეანეს აქეთ და იქით დამთავრდა ეკონომიური კრიზისით, ეკონომიური კრიზისი დაიწყო 1920 წ. გაზაფხულზე. გაიზარდა, მთელ ევროპას მოედო, გაღრმავდა და ბოლო აღარ უჩანს.

1920 წ. გაზაფხულამდე, როგორც უკვე აღნიშნული იყო საქონლის, სურსათ-სანოვაგის ფასები თანდათან იზრდებოდა; 1920 წ. აპრილში ფასების ზრდა უმაღლეს საფეხურამდე ავიდა; მაისში აღმოჩნდა ახალი მოვლენა; საერთაშორისო მეურნეობა ახალ მდგომარეობაში გადავიდა. გარკვევა მდგომარეობის პირველ ხანებში სანელო შეიქნა. მეურნეობის ახალი მდგომარეობის მაჩვენებელი იყო საქონლის ფასების შემცირება მთელ ევროპაში.

ეკონომისტები ამ მდგომარეობას ალტაცებით მიეგებენ, დაიწყეს წინასწარმეტყველება; ევროპის მეურნეობა აღორძინების გზას დაადგა, ევროპის მეურნეობამ თავი დააღწია განსაცდელს, რომელიც შექმნა ომიანობამ; მეურნეობა აღორძინდა, ევროპამ მოიბრუნა პირი წესიერი ცხოვრებისაკენ; წინასწარმეტყველება ნაადრევი შეიქმნა, იგი არ გამართლდა. გამოირკვა, რომ ევროპის მეურნეობის აღორძინებაზე მსჯელობა ძლიერ ნაადრევი არის, ევროპა კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა; ეკონომიური კრიზისით დაგვირგვინდა მეურნეობის ნგრევა და რყევა.

1920 წ. მაისში და ივნისში დაიწყო ფასების დაწევა.

თუ მივიღებთ 1914 წ. ფასებს და ვიანგარიშებთ 100, ფასების დაწევა შემდეგ გამოიხატება:

| წლები | საფრანგეთი | ჩრდილო ამერიკის შტატები | ინგლისი |
|---|---|---|---|
| 1914 | 100 | 100 | 100 |
| 1919 | 355.6 | 202.7 | 242.4 |
| 1920 იანვარი | 486.9 | 326.6 | 288.0 |
| „ აპრილი | 587.5 | 225.1 | 313.1 |
| „ ივნისი | 495 6 | 204.4 | 299.5 |
| „ ოქტომბერი | 501.7 | 170.2 | 282.2 |
| „ ნოემბერი | 460 2 | 147.9 | 263.3 |
| „ დეკემბერი | 434.3 | — | 243.5 |

1920 წ. მეორე ნახევარში ფასები თან და თან იწევს. საფრანგეთში ფასების დაწევა იწყება 1920 წ. დაახლევს. 1920 წ. დეკემბერში ფასების დაწევა შეადგენს 26. 1 პროც. იმავე წლის აპრილის ფასებთან შედარებით. იგივე მოვლენაა ამერიკაში. თუ მივიღებთ ოცი უმთავრესი საქონლის ფასს 1920 წ. პირველ იანვარში 100, ფასების დაცემა ამნაირად გამოიხატება:

| | |
|---|---|
| 1 \| I—1920 წ. | 100 |
| 1 \| V—1920 წ. | 114 |
| 1 \| VIII—19 წ. | 110 |
| 1 \| X—1920 წ. | 80 |
| 1 \| XII—1920 წ. | 72 |
| 1 \| I—1921 წ. | 65 |
| 1 \| II—1921 წ. | 62 |
| 1 \| III 1921 წ. | 56 |

ამერიკაში 1921 წ. განმავლობაში საქონლის ფასები შეუჩერებლად ეცემა, მაგალითად 1921 წ. თებერვალში 1920 წ. შედარებით ასე შემცირდა ფასები: ხორბალის 18 პროც., სიმინდის 48 პროც; შაქრის 51 პროცენ, რკინის 36 პროც., ბამბის 65 პროც., ჩითეულობის 65 პროც.

ყველა საქონლის ფასები დაეცა. შედარებით ნაკლები არის ხორბლეულობის ფასების დაცემა, მაგრამ ძლიერ შეიცვალა ფასები შაქრის, ერბოს, რკინეულობის.

ინგლისში ფასები დაეცა უფრო თვალსაჩინო ქსოვილების მრეწველობაში; დაეცა ნედლი მასალის ფასები, ხე-ტყის მასალის.

თუ 1906 - 05 წ. ფასებს მივიღებთ 100 და შევადარებთ 1920 წ. ფასებს, შემდეგი ცვლილება ფასების აღმოჩნდება.

| | |
|---|---|
| 2 \| I 1920 წ. | 334.7 |
| 1 \| IV 1920 წ. | 379.9 |
| 1 \| VII 1920 წ. | 358.0 |
| 1 \| X 1920 წ. | 347.0 |
| 1 \| I 1921 წ. | 269.3 |
| 1 \| II 1921 წ. | 255.3 |
| 1 \| III 1921 წ. | 235.3 |

ეკონომიური კრიზისი იაპონიაში ძლიერ გართულდა. იაპონიის მრეწველობა ომის დროს გაძლიერდა, მოღონიერდა, მაგრამ ეკონომიურმა კრიზისმა იქ ადრე იჩინა თავი; 1920 წ. ბითუმათ გაყიდული საქონელი 240—259 ერთეული ღირდა (1913 წ. ფასები მიღებული არის 100); 1920 წ. უმაღლესი ფასები უდრიდა 321 ერთეულს, 1920 წ. ფასები 206 ჩამოვიდა.

ფასების დაცემამ დიდი არევ დარევა გამოიწვია მსოფლიო მეურნეობაში. ფასების დაცემის პირდაპირი შედეგი იყო წარმოების შემცირება, უმუშევართა რიცხვის გამრავლება. ინგლისის საფეიქრო მრეწველობაში სამუშაო საათების რაოდენობა შემოკლებული იყო 24 საათამდე კვირაში.

ფასების დაცემამ ძლიერ შეავიწროვა ბამბეულობის მრეწველობა: ამერიკის ბამბის ფასი ძლიერ დაეცა. ბამბის ძაფის ფასები 1921 წ. იანვარში 33 პროც. შემცირდა. ინგლისში ბითუმათ გასაყიდი საქონლის ფასი ერთი წლის განმავლობაში, 1919 1920 წ., 40 პროც. შემცირდა.

მატყლის ქსოვილების წარმოებაში კრიზისის გავლენით შემცირდა წარმოება, გამრავლდა უმუშევართა რიცხვი. საერთოდ საფეიქრო მრეწველობაში ინგლისში 1921 წ. განმავლობაში 90 პროც. მუშების მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობდენ. 50.351.570 საქსოვი დაზგებიდან მუშაობდა ნაწილობრივ 40.537.522 დაზგა.

საფრანგეთში საფეიქრო მრეწველობაში მუშაობდენ ადგილ 40 საათს კვირაში, 43 მაგივრათ, ადგილ 35 41 საათის მაგივრათ, ალაგ 24-26 საათსაც. ფასების დაწევის გამო ინგლისში 1921 წ. თებერვალში თუჯის წარმოება 25 პროც. შემცირდა, ფოლადის 37 პროც.

წარმოების შემცირებამ უმუშევართა რიცხვი გაზარდა, შემცირდა წარმოებაში დარჩენილი მუშების ხელფასი.

საფრანგეთში ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხნებში ხელფასი 15 პროც. შეამოკლეს.

ინგლისში ქვანახშირის მაღაროების მუშების ხელფასის შემცირებას შეეცადნენ მრეწველებმა; განზრახული იყო ხელფასის 4 სტერლინგი და 9 შილინგის მაგივრათ 2 სტერლინგის 5 შილინგის მიცემა. ამ განზრახვამ გამოიწვია ინგლისის მაღაროების მუშების გაფიცვა, რომელიც 4 თვე გაგრძელდა.

კრიზისი მოედო საზღვაო ტრანსპორტს. ნორვეგიაში 1 | 5 მთელი სავაჭრო გემების გასულ წელს უსაქმოდ დარჩა; თითქმის 20 პროც. მცხოვრებლების საზღვაო ტრანსპორტში ჩაბმულნი უმუშევარი დარჩა. საზღვაო ტრანსპორტის კრიზისმა შეაჩერა დიდი გემების შენება. აშენებენ პატარა გემებს 3000—5000 ტონის. ასეთი გემების მოვლა შენახვა და ხარჯები უფრო შესაძლებელი არის, ვიდრე დიდი გემების, რადგან საქონლის გადასაზიდი ფასებიც დაეცა.

კრიზისის გაძლიერებაში; უმუშევართა რიცხვის გამრავლებამ აუტანელი პირობები შექმნა მუშათა კლასისათვის.

ხელფასის რაოდენობა საერთოდ ისეთი შეიქმნა ომის შემდეგ, რომ მუშას ცხოვრება არ შეუძლია. საფრანგეთში 75 პროცენტი ხელფასის მხოლოდ საჭმელ-სასმელს უნდება. საფრანგეთში 1913—1917 წ. უსაჭიროესი საგნების ფასები 3 ნახ ჯერ გაიზარდა, ხელფასი მხოლოდ ორჯერ.

გერმანიაში ხელფასი 50 პროც. გაიზარდა, ცხოვრება 120 პროც. გაძვირდა. იტალიაში ხელფასი 30 პროცენტით გაიზარდა, ცხოვრება 173 პროცენტით.

უფრო მაჩვენებელი არის ინგლისის ცხოვრების პირობები: 1913 წ. ინგლისში გამოცდილი შემანქანე იღებდა თვიურად 160 შილინგს, 1918 წ. 208 შილინგს, ესე იგი ხელფასი 30 პროც. გაიზარდა, ცხოვრება—65 პროცენტით.

1920 წ. ინგლისში იმავე შემანქანეს ხელფასი არის 364 შილინგი 1914 წ. შედარებით ხელფასის გადიდება 127 პროც. შეადგენს, ცხოვრების გაძვირება—169 პროც. ხელფასი სრულებითაც არ შეეფერება ცხოვრების გაძვირებას. ცხოვრების გაძვირება მეტის სისწრაფით ხდება, ვიდრე ხელფასის. კრიზისის დროს შეეცადნენ ამ მცირე ხელფასის კიდევ შემცირებას.

უდიდესი შედეგი ეკონომიური კრიზისის არის უმუშევართა რიცხვის გამრავლება. სწორი აღრიცხვა არ არის უმუშევართა, მაგრამ ზოგიერთი ცნობები მოგვეპოვება. ინგლისში აღრიცხულია უმუშევართა რაოდენობა:

| | |
|---|---|
| 1920 წ. დეკემბერი | — 785,906 |
| 1921 წ. იანვარი | — 1,049,482 |
| „ „ თებერვალი | — 1,414,242 |
| „ „ 1 აპრილი | — 1,612,829 |
| „ „ 8 აპრილი | — 1,729,362 |

ხუთი თვის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 2,1-ჯერ გაიზარდა. 1921 წ. მაისში ინგლისში იყო 2 მილიონი უმუშევარი, მათ ოჯახის წევრებს თუ მივიღებთ სათვალავში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 1921 წელს არა ნაკლებ 6 მილიონ სულს. უმუშევართა რიცხვი ევროპაში მრავალი მილიონებით უნდა აღირიცხებოდეს

ეკონომიური კრიზისის შედეგ წარმოების შემცირება, ხელ შემცირება, უმუშევართა გამრავ ხელფასი სრულიადაც ვერ აკმაყ ლებს მუშის მოთხოვნილების რების სიძვირის გამო. ამ მ ხელფასის შემცირება, მისი მოს უმუშევრობა საშინელ მდგომარე ქმნის მუშებისათვის.

აუტანელი პირობები ცხოვრე შექმნილი ეკონომიური კრიზისი მო, რომელმაც დაგვირგვინებაა ერთაშორისო ომიანობის—ქმნის და ძლიერ რთულ სულის კვე ევროპის მუშათა კლასში. ეკონ ური კრიზისის გამწვავებამ ცვლილებანი გამოიწვია ევროპ ხელმწიფოებში, მან წამოაყენა საკითხები. გასაჭირმა და განს ლმა, რომელშიც ჩავარდა მუ კლასი, გამოიწვია და გაართულ თი შეგნება. მუშათა კლასი ხელ დაკრეფილი არ შეყურებს არს მდგომარეობას. მუშათა კლასი მაღლა გამოეხმაურა ომის მიერ ნილ შედეგებს ეკონომიურ ცხ ბაში. ცხოვრების გაძვირება, რების აუტანელი პირობები, ხაც ხელფასის სიმცირის გამო სწვდება ცხოვრების აუცილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილ მთელი სიმძიმით დააწვა მუ კლას. დასავლეთ ევროპის კა ლისტებმა შეეცადნენ კრიზისის წარმოების შემცირებას, ხელ შემცირებას, ამ მისწრაფებაზედ შათა კლასმა უპასუხა გაფიცვ გაფიცვები ჩვეულებრივ მოვ გარდაიქცა. 1921 წ. ინგლისის როების მუშები ოთხი თვით ფიცნენ და ძლიერ განსაცდელშ ყენეს ინგლისის მრეწველობა. ცვები გახშირდა, გაფიცვები რ დებიან. გაფიცვების ზრდა მაჩვე ლი არის იმისა, რომ მუშებში ნება იზრდება; გაფიცვა ძლიერ რაღია და ამ იარაღის ხმარება შირდა.

გაფიცვების გავრცელება არ რეთვე მაჩვენებელი იმისა, მუშათა კლასის სიღრმეში, მათ

იზრდება რევანშის ატმოსფეროში. საჭიროა ვაგრძნობინოთ გერმანიას, რომ რევანშის ომი, თუ მან გადასწყვიტა ესეთი გამოცხადება, არ მოუტანს გერმანიას არავითარ სარგებლობას და ამ შესაძლებელ რევანშის ომში გერმანია დაუპირისპირდება არა მარტო საფრანგეთს, არამედ ინგლისსაც. დასდო რა ვერსალის ხელშეკრულება, ინგლისმა უკვე მაშინვე გადასწყვიტა აელო თავისთავზე გარკვეული ვალდებულებანი ევროპის დასაცავად იმისაგან, რასაც იგი მოკავშირეებთან ერთად გრძნობს დამღუპველად. დაბოლოს ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა რომ იგი ეთანხმება საფრანგეთის თვალსაზრისით, რომელიც მოსთხოვს რომ კავშირი საფრანგეთია და ინგლისს შორის აგებულ იქნეს თანასწორ უფლებასა და ვალდებულებებზე ამავე საკითხის შესახებ ლორდთა პალატაში გამოვიდა ლორდ კერზონი, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთმა უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში განიცადა უცხოელთა 4 თავდასხმა. საფრანგეთი, სდებს რა ხელშეკრულებას გარანტიების შესახებ, არ არკვევს მოკავშირეთა თავდაცვით და შეტევითი როლს, არამედ იმეორებს ინგლისის წინაშე ყველა თავის მოვალეობებს, რომელიც მოიწონა ლორდთა პალატამ 1919 წ. ეს ხელშეკრულება არის საფრანგეთ ინგლისის მეგობრობის და საფრანგეთის უშიშრობის უზრუნველყოფის ახალი განსახიერება.

**ლონდონი**, 9 თებ. (რადიო) თემთა პალატის გახსნის დროს წარმოთქმულ მეორე სიტყვაში გეორგმა გამოსთქვა იმედი, რომ მოლაპარაკება ინგლისის საფრანგეთის კავშირის შესახებ დამთავრდება ახლო მომავალში კეთილად.

# საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

**ოპერატიული ცნობა**

**მოსკოვი**, 8 თებერვალი (რადიო). 28 და 29 იანვარს კოკსანსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს სოფლები სოფიანოვსკაია და ნიკოლსკაია. 29 იანვარს მტრის მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს სოფელი ტუნგ-ოდარსკაია. ჩვენ დაგვენებდა 7 ბანდიტი. 30 იანვარს კოკსანსკის რაიონში ჩვენ დავიკავეთ სოფელი შაპოვალკი. 31 იანვარს ჩვენმა ნაწილებმა მოიგერია კონტრ იერიშები და დაიკავეს სოფელი კოკსანსკაია.

**ბანდიტების განადგურების წინ**

**მოსკოვი**, 8 თებერვალი (რადიო). კორელიის რაიონის უფროსისაგან ამხ. ზინოვიევის სახელზე მოვიდა დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ ფინელი ბანდიტების სრული განადგურება კიდევ რამოდენიმე დღის საქმეა და ისინი სასწრაფოდ უკან იხევენ. წითელი ნაწილები ერთი მეორეზე იკავებენ მტრის სოფლებს. ბანდიტებში დიდი დეზორგანიზაციაა შეტანილი და მათი მთელი ჯგუფები და რაზმები გადმოდიან ჩვენ მხარეზე. კორელიის ტერიტორიის ბანდიტებისაგან გაწმენდა უახლოეს დღეების საქმეა.

**დასასრულის წინ**

**მოსკოვი**, 10 თებერვალი (რადიო). გელსინგფორსიდან 6 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: ფინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მოხალისეები ვერ შესძლებენ კორელიაში თავდაცვის გაგრძელებას ორ კვირაზე მეტს, რის შემდეგ ისინი იძულებული იქნებიან გასწმინდონ მთელი კორელია.

**ფინეთის მუშები ზავს მოითხოვენ**

**მოსკოვი**, 10 თებერვალი (რადიო). ფინელი მუშების კრებებზე გამოიტანეს რეზოლიუციები კორელიის ავანტიურის წინააღმდეგ და აგრეთვე წინააღმდეგ შეწირულების მოკრებისა სოციალისტურ პარტიების დევნისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს მშვიდობიანობის დაცვას საბჭოთა რუსეთთან.

# ქრონიკა

◆ **განათლების კომისარიატის სოციალურ განათლების მთავარი მართველობა.** სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის კოლეგიამ დაადგინა მიიღოს თავის გამგებლობაში პუშკინის ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება, რომელიც უნდა იქნეს ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკის ორგანიზაციის ფუძეთ ბავშვთა ცენტრალური ბიბლიოთეკა სამსახურს გაუწევს თბილისის ყველა საბავშვო დაწესებულებებს. მის მოსაწყობად გადადებულია 25,000,000 მანეთი. განათლების კომისარიატის სამოსწავლო-სახელმძღვანელოთა სახელოსნო ახლო მომავალში შეუდგება იმ სამოსწავლო სახელმძღვანელოების დამზადებას, რომელთა ნაკლებობა ძლიერ საგრძნობია. სოციალურ აღზრდის მმართველობის სასკოლო განყოფილებასთან მოეწყო კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი სამოსწავლო სახელმძღვანელოა საჭირო დამზადდეს პირველ რიგში. სოციალურ აღზრდის მართველობის კოლეგიამ თხოვა საქართველოს რევკომს ერთი მილიარდი მანეთი განათლების კომისარიატთან არსებულ საბავშვო გამომცემლობისათვის, რომელმაც საშუალებათა უქონლობის გამო ვერ შესძლო გაეფართოებინა თავისი მუშაობა. განზრახულია შეაკეთონ სახელმწიფო უნივერსიტეტში „შევარდენის“ დარბაზი, რომლისათვისაც საჭიროა 142,000,000 მანეთი.

სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობას განზრახული აქვს გადაიტანოს ერთი ან ორი საბავშო ბაღი სოფ. დიღომში.

დადგენილია გაიხსნას ოზურგეთის მაზრაში რამოდენიმე საბავშო სახლი.

◆ **ცენტრალურ საინსტრუქტორო ინსტიტუტში.** ხუთშაბათს 9 თებერვალს ინსტიტუტში შესდგა ექიმ მარქარიანის ლექცია შემდეგ თემაზე: „შრომისა და დროის ეკონომია ჩვენ ცხოვრების წვრიმალებში“. ლექტორმა განუმარტა აუდიტორიას შრომის და დროის ეკონომიის პრინციპი და ამ პრინციპების ასრულების მნიშვნელობა ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ახლანდელ დროში, როდესაც მთელი ცხოვრება შენდება ახალ საფუძვლებზე, წამოაყენა შემდეგი თეზისები როგორც წესი ყოველდღიურ ყოფაქცევისა, რომელიც მიიღო კრებამ: 1) იყავ პირიანი, 2) ნუ ანაგვიანებ, ნუ აფურთხებ იატაკზე, 3) იყავ გულისყურიანათ, 4) სიარულის დროს გეჭიროს მარჯვენა მხარე, 5) მოხიე ძველი განცხადებები, 6) მოიშალე ხელის ჩამორთმევა. კვირას ინსტიტუტში შესდგება პროფ. გეხტმანის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ოჯახური ანუ საზოგადოებრივი აღზრდა“. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

**კრედიტები კურორტების მოსაწყობად**

სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მოხსენებით, უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა; საქართველოს სხვა და სხვა საკურორტო ადგილებში მოეწყოს 400 საწოლი განსაკუთრებით მუშებისთვის, საწოლების და საექიმო პერსონალის შესანახად საბჭომ საჭიროდ სცნო გადაიდოს 25—30 მანეთი ოქროთი. ამ თანხის ერთი მესამედი თებერვალში გაიცეს, ხოლო დანარჩენი—სამკურნალო სეზონის ხანაში. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაავალა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს, რომ მან მეზობელ რესპუბლიკებთან მოლაპარაკების გამართვით გამოარკვიოს, თუ რამდენად საჭიროებენ ისინი საქართველოს კურორტებს და რა მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ კურორტების შენახვაში. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს უფლება მიენიჭა მოაწყოს ფასიანი საწოლები კერძო პირებისთვისაც და საკურორტო ადგილებში გააქირაოს კერძო პირებზე სახლები სანატორიუმების მოსაწყობად იმ პირობით, რომ იმ სანატორიუმებში განსაზღვრული რაოდენობის საწოლები სახელმწიფოს გადაეცეს.

◆ **წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის საგანგებო კომისია:** ამ ჟამად თბილისში მოქმედობს 35 სკოლა წერა-კითხვის უცოდინრობის მოსასპობათ ყველა ადგილობრივ ენებზე. მათი დიდი უმეტესობა გახსნილია პროფკავშირებთან შეთანხმებით, მათში სწავლობენ ყოველნაირ ცნობის მუშები. არსებობს კიდევ რამდენიმე სარაიონო სკოლა ქართულ და რუსულ ენებზე. პროვინციაში ამ ჟამათ არსებობს 220 სკოლა; ყველაზე ნაკლები სკოლა გახსნილია ქუთაისის, ოზურგეთის და თელავის მაზრებში, რადგან იქ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს ჯეროვანი ენერგია; ყველაზე მეტი სკოლა არსებობს ბორჩალოს, სენაკის და ლეჩხუმის მაზრებში. თბილისში ამ წუთში მუშაობა დამთავრებულია 15 სკოლაში. საქართველოს ს. ს. რ. წერა-კითხვის უცოდინართა საზოგადო რიცხვიდან—35 პროცენტი მოდის ქუთაისის გუბერნიაზე, ხოლო 65 პროცენტი თბილისის გუბერნიაზე. კომისიის ფიქრით, წ.-კ. უცოდინრობის საზოგადო ლიკვიდაცია დამთავრებულ იქნება 2—3 წელიწადში. ამზადებენ პროვინციაში 100-დან 150-მდე სკოლის გახსნას. აუცილებლათ საჭიროა დახმარება და ენერგია ადგილობრივ აპარატებისა. ფიქრობენ მოკლევადიან კურსების გახსნას წ.-კ. უცოდინართ —მასწავლებლებისთვის. ამ კურსების გახსნამდე მასწავლებლებს ხანდა ხან უკითხავენ ლექციებს. კომისიამ უკვე დაბეჭდა: 1) საკითხავი წიგნი (გადმოთარგმნილია რუსული ენიდან), 2) ანბანი და სხვა სახელმძღვანელოები სომხურ და თათრულ ენებზე. 2-3 კვირის შემდეგ მზათ იქნება ახალი ქართული ანბანი და არითმეტიკის სახელმძღვანელო. ფიქრობენ ბროშურების გამოცემას სწავლების მეთოდის შესახებ და აგრეთვე ყოველთვიურ ჟურნალისას. აარსებენ სამაგალითო ბიბლიოთეკას.

◆ **სახალხო უნივერსიტეტების, მე-2 საფეხურის სკოლების და სალექციო ბიუროს ქვე-განყოფილების მოქმედება იანვარში.** სახალხო უნივერსიტეტი 1922 წ. 1 იანვრამდე გახსნილი იყო სულ—2: 1—თბილისში, ორი განყოფილებით: რუსულით და ქართულით, სადაც თავსდებოდა 150-მდე მსმენელი (90 პროცენტი მუშებია), მეორე—თელავში 40 მსმენელით განსაკუთრებით მუშათაგან. იანვრის დამდეგს შეუდგნენ სახალხო უნივერსიტეტების გახსნას პროვინციაში. უნივერსიტეტები გახსნეს ახალ-სენაკში და ჭიათურაში. ახალ-სენაკის სახალხო უნივერსიტეტში მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე სამ-სამი საათი, ჭიათურის უნივერსიტეტში—კვირაში სამჯერ, ორ-ორი ლექცია ყოველჯერ. განზრახულია სახალხო უნივერსიტეტების გახსნა ქუთაისსა, გორსა, ბათომსა, ხაშურსა და ფოთში.

— 1 იანვრამდე თბილისში არსებობდა 3 სკოლა მე-2 საფეხურისა მუშებისთვის; მათში დაიარებოდა 25 კაცი თითოში. იანვრის განმავლობაში სკოლების ქსელი გააფართოვეს. ერთი სკოლა გახსნეს მუშათა ცენტრ. კლუბთან თბილისში (25 მუშა), ერთი—სამტრედიაში და 3 თბილისის მაზრაში. საგარეჯოსა, მარტყოფსა და ავჭალაში. ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით საჭირო შეიქნა განსაზღვრულ დამატების შეტანა სახალხო უნივერსიტეტების პროგრამაში. ყველა უნივერსიტეტების გამგეებს ცირკულიარულათ წინადადება მიეცათ დაარსონ უნივერსიტეტებთან სასოფლო-სამეურნეო კურსები, ამ კურსების პროგრამა და ინსტრუქცია დაწვრილებითაა შედგენილი. რაც შეეხება პროგრამის შეცვლასა და დამატებას,—სახალხო უნივერსიტეტის საგნები, რომლებსაც წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ: მემანქანეობა, კოოპერაცია, სასოფლო და მუნიციპალური მეურნეობა, გიგიენა, ბუხჰალტერია და სხვა.

— სალექციო ბიურომ შეადგინა მთელი რიგი ლექციებისა მუშათა კლუბებში, სახალხო აუდიტორიებში და გამასწორებელ სახლებში წასაკითხათ და აგრეთვე საუბრების გასამართათ ქოხ-სამკითხველოებში პროვინციაში.

◆ **საბჭოთა სახალხო სკოლების ქვე-განყოფილების მუშაობა 1922 წ. იანვრის განმავლობაში.** ქვე-განყოფილება უწევდა ტეხნიკურ სამსახურს ცენტრალურ პარტიულ სკოლას (140 კურსანტი, რომელთა გამოშვება განზრახულია აპრილში) 3 სარაიონო სკოლებს ჩერქეზიშვილის, კირკის ქ. და ავლაბარში—80 კურსანტი თვითეულში.

◆ **მოწაფეთა შორის აპარატის მუშაობა.** შედგენილია და დამუშავებული პროგრამა წრეებში მეცადინეობის საწარმოებლად სოციალურ მეცნიერებათა შესასწავლად. ასეთი წრეები მოწყობილია და დაიწყეს მეცადინობა შემდეგ ტეხნიკუმებთან: 1, მე-12, მე-17, მე 19, მე-21, მე-22 და პირველ სპეციალურ ტეხნიკუმთან. მოეწყო აგრეთვე წრე სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურ განყოფილებასთან. წრისათვის გამონახეს და მიაწყვეს შენობა, იანვრის ბოლოში შეუდგნენ წრეების მოწყობას დანარჩენ ტეხნიკუმებთანაც.

**პოლიტიკურ მთავარ მმართველობაში გამომსახველ-ხელოვნების სააგიტაციო განყოფილება. იანვარი 1922 წ.**

პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობის გამომსახველ ხელოვნების სააგიტაციო განყოფილება იანვრის განმავლობაში რეგულიარულად აწარმოებდა საქართველოს საბჭოების და კომპარტიის ყრილობის საარჩევნო კამპანიისათვის წინასწარ მუშაობას. პირველ კამპანიისათვის განყოფილებამ გამოუშვა: 1,200 ლიტოგრაფიული პლაკატი, 4,000 მრავალ სურათიანი სტამბის პლაკატები, 8,000 მცირე ზომის სტამბის პლაკატები და 47 სურათი სხივის გაზეთისათვის. ამას გარდა გამოშვებულია 10,000 ლოზუნგი სამ ენაზე. საქართველოს კომპარტიის ყრილობისათვის დამზადებულია დიდი პანო 72 არშინი. დასრულდა სახელმწიფო დრამის და ქართულ წითელ ლაშქრის კლუბის მოხატვა. განყოფილებამ დახატა დროშა პირველ გაერთიანებულ—სამხედრო სკოლისათვის (კურსანტებისა), იანვრის ბოლოში განყოფილება შეუდგა სამ ლიტოგრაფიულ პლაკატების დამზადებას, რომელიც შეუკვეთა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა. ახალი წლის დაწყებიდან სხივის გაზეთმა გამოუშვა 4,000 ინფორმაციის შუშა და 160 სურათი.

**განათლების სახ. კომისარიატში.**

(საუბარი ამხ. ბრიხნიჩოვთან).

8 თებერვალს მოსკოვიდან დაბრუნდა, გასულ წლის ბოლოს იქ გაგზავნილი ქ. თბილისის მუშათა და წითელ ლაშქრელთა დეპუტატების საბჭოს წევრი განათლების კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრის გამგე ამხ. ბრიხნიჩოვი. მოსკოვში ყოფნის დროს მან შეასრულა შემდეგი დავალებანი: მიიღო 1 მილიარდი მანეთი საქართველოსა და ვოლგის მხარის დამშეულ ბავშვთათვის, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, და 3 მილიარდი საორგანიზაციო ცენტრისა და მის საწარმოვო დაწესებულებათათვის. დადებულია ხელშეკრულება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობასთან, რომლის ძალითაც ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა ღებულობს სესხად 3 მილიარდ მანეთს, რომლის ნაწილის, 2 მილიარდის რეალიზაცია ხდება დაუყონებლივ წიგნებით, როგორც ბელეტრისტულ, აგრეთვე სპეციალურ სამეცნიერო შინაარსისა.

ამხ. ბრიხნიჩოვმა მოახერხა შეეტანა ს. ს. ს. რ. განათ. კომისარიატი რ. ს. ფ. ს. რ. განათ. კომისარიატის ხარჯების განაწილებაში, ამის გამო, ყოველივე იმას, რასაც მიიღებს რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატის ცალკე ერთეული, მიიღებს საქართველოს განათლების კომისარიატის სათანადო ერთეულიც. მოხდა შეთანხმება რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატის ეროვნებათა უმცირესობის საბჭოსთან თათრულ, ებრაულ და სხვა ენებზე დაწერილ წიგნების გაცვლის შესახებ. ყველა ზემო აღნიშნულის რეალიზაცია მოხდება მახლობელ კვირაში.

მიღებულია განათლების ც. კ. საშუალებით 1000 ტანსაცმელი მასწავლებელთათვის და 500 წყვილი ფეხსაცმელი.

„არსენ ჯორჯიაშვილის“ ფილმამ, რომელიც გამოუშვა საქართველოს განათლების კომისარიატის კინოსექციამ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში, როდესაც იგი უჩვენეს მოსკოვის პასუხის მგებელ მუშაკებს. ფილმა გადაეცა რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატს საექსპლოატაციოდ, ამასთანავე შემოსავლის მნიშვნელოვანი პროცენტი ორჯერ თვეში გამოეგზავნება საქართველოს განათლების კომისარიატს.

ამხ. დზერჟინსკის საშუალებით მიღებულია 5000 ბავშვის ტანსაცმელი. სავსებით მოეწყო „საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკისათვის“. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ს. რ. კ. და რ. ს. ფ. ს. რ. განათლების კომისარიატისაგან მომარაგების საგნების რიგ გარეშე მიღება.

ამხ. ბრიხნიჩოვმა მოიტანა საორგანიზაციო და საინფორმაციო ხასიათის მასალის დიდი რაოდენობა.

ლუნაჩარსკის საუბარიდან გამოირკვა, რომ მას დიდი სურვილი აქვს დაესწროს საქართველოში ს. ს. ს. რ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღის დღესასწაულს 25 თებერვალს.

**განცხადება ფინანსთა სახალხო კომისრისა.**

ამით ცხადდება საყოველთაო ცნობისათვის, რომ ამა 1922 წლის თებერვლის 13 დან ყოფილ აზოვ-დონის ბანკის შენობაში (სოლოლაკისა და სერგიევის ქუჩის კუთხე) გაიხსნება ბირჟა, რომლის საშუალებით დაიწყება ყოველგვარი სავალიუტო ოპერაციის წარმოება, მაგ უცხო ვალიუტისა, ჩეკებისა და ტრატების ყიდვა, გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა. ბირჟა იმყოფება ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობასა და მფარველობის ქვეშ.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. **სვანიძე**.

1922 წლის თებერვლის 11 ს. თბილისი

# ფოთის რევკომის მოღვაწეობა

**ქარხნის დაბრუნება.**

ვ. ბალდასარიანცის ტყავის ქარხანა, რომელიც ჩამორთმეული იყო ნაციონალიზაციის სახით, ისევ დაუბრუნდა პატრონს შემდეგ პირობებში: ქარხნის პატრონი ვალდებულია 20 პროც. საერთოდ გამომუშავებული საქონლისა გადასცეს უფასოთ ფოთის რევკომს, 30 პროც. დაუთმოს მასვე თვით ღირებულ ფასებში და დანარჩენი კი შეუძლია გაყიდოს პატრონმა ბაზრის ფასებში.

ხე-ტყის მრეწველთა შუამდგომლობა ნაციონალიზაციით ჩამორთმეულ ხე-ტყის სახერხავ ქარხნების უკან დაბრუნების შესახებ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ უშედეგოდ იქნა დატოვებული.

**ნატურით გადასახადი.**

სასურსათო კომიტეტთან დაარსებულ იქნა ნატურით გადასახადის ამკრეფი კომისია, რომელშიდაც რევკომის წარმომადგენლად დაინიშნა ს. მეავანაძე.

**ჯანმრთელობის განყოფილება.**

ვინაიდან გადამდებ სენიანთა საავადმყოფოები დაშორებულია დიდი მანძილით ქალაქზე და ჯანმრთელობის განყოფილება კი მოკლებულია გადასაზიდ საშუალებებს, რევკომმა დაადგინა: გაიხსნას საავადმყოფო წინწკლებიან სახადიანთათვის თვით ქალაქში, მიხეილის ქუჩაზე სალონიკიდის სახლში.

**ახალი დაწესებულებები ფოთში.**

ფოთში გაიხსნა შეერთებული საგარეო ვაჭრობის განყოფილება. აქვე არსდება ამერიკის მისია, რომლის მიზანიც არის საქონლის გატან შემოტანა ქ. ფოთით. ფოთის რკინის გზის საწყობები უნდა გადავიდეს ნავთსადგურის განკარგულებაში.

**საშტატო კომისია.**

შესდგა საბჭოთა დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემამცირებელი კომისია, რომელსაც დაევალა ყველა დაწესებულებაში ადგილობრივ მუშაობის გაცნობა და ზედმეტ მოსამსახურეთა განთავისუფლება.

**მომღერალთა გუნდი.**

ფოთის მომღერალთა გუნდი ჩაირიცხა სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვში. განათლების განყოფილებას დაევალა გადაუგზავნოს მათი სია სასურსათო კომიტეტს ულუფით დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე შეიძინოს გუნდისათვის ერთნაირი ტანისამოსი.

**კლიმატიურ მოვლენების მიმოხილვა.**

ფოთის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგურის გამგეს მაგილოვსკის დაევალა ფოთში კლიმატიურ მოვლენების შედგენა შემუშავება და ცნობების ყოველ დღე მოწოდება [illegible] მოქმედო განყოფილებისათვის [illegible] დაევალა ფოთის რაიონისთვის მეტეოროგიულ მიმოხილვის შედგენა დაკვირეული და თვიური ტაბულების გამოყვანა.

**სასამართლო უბნის გაუქმება.**

გაუქმებულ იქნა მეორე უბნის სახალხო სასამართლო და საგამომძიებლო, რომლის ქონება და საქმეები გადაეცა პირველ უბანს, უბნის სასამართლო და საგამომძიებლოს ეწოდა მეორე უბნის სახალხო სასამართლო, და საგამომძიებლო. როგორც პირველი ისე მეორე უბნებისათვის დაინიშნა ერთი განჩინების აღმასრულებელი.

**საშტატო კომისიის მუშაობა.**

საშტატო კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და ჯერ-ჯერობით შეამცირა შტატი შემდეგ დაწესებულებებში: ფოთის ნავთსადგურის—180 თანამშრომლით, სახალხო სამეურნეო საბჭოსი—4, სრულიად გაუქმებულ იქნა მეორე უბნის სახალხო სასამართლო და საგამომძიებლო თანამშრომელთა დათხოვნით და აგრეთვე მეორე უბნის მილიციის სამმართველო მილიციონერების პირველ უბანში გადაყვანით.

**კონკის მოძრაობის შეჩერება.**

ვინაიდან ნოყიერ საკვებ მასალის უქონლობის გამო შეუძლებელია მუშა-ცხენების შენახვა—რევკომმა დაადგინა შეჩერებულ იქნას კონკის მოძრაობა ერთი თვით, კომუნალურ განყოფილებას დაევალა მიიღოს ყოველივე ზომები სიმინდის და თივის შესაძენად. მასვე მიეცა წინადადება ერთი თვის განმავლობაში შეაკეთოს კონკის ვაგონები და გზები.

**კალბასის დამზადება.**

მიწადმოქმედების განყოფილებას განზრახული აქვს საკალბასოს გახსნა და მუშა მოსამსახურეთათვის კალბასის და ლორის დამზადება. ამ მიზნით სწარმოებს მოლაპარაკება მეკალბასე დარახველიძესთან, როგორც სპეციალისტთან ამ დარგში.

**ბინების ქირის ტარიფიკაცია.**

კომუნალურ განყოფილებას დაევალა დაუყონებლივ შეიმუშაოს ქალაქში, როგორც საცხოვრებელ აგრეთვე სავაჭრო ბინების ქირის ტარიფიკაცია.

**განყოფილებათა გაერთიანება.**

სახალხო მეურნეობის საბჭოს შეუერთდა კომუნალური განყოფილება და შეერთებულ დაწესებულებას ეწოდა ეკონომიური განყოფილება, ეკონომიურ განყოფილებასთან დაარსდა შემდეგი ქვეგანყოფილება: წარმოებითი, მომარაგებითი, საადგილ-მამულო, საბინაო, ტეხნიკური და საერთო კანცელარია. განყოფილებას ხელმძღვანელობს კოლეგია, სამი პირისაგან შემდგარი.

მებში დიდი მზადებათ. მუშები ირაზმებიან. მუშების დარაზმვა გამოიხატება იმაში, რომ ისინი პროფესიონალურ კავშირებში შედიან. პროფესიონალური კავშირების წევრების რიცხვი ძლიერ იზრდება. კავშირებს გარეშე ცდილობენ არ დარჩენ მუშები. კავშირებში თავ მოყრილი მუშები წარმოადგენენ ორგანიზაციას, შეკავშირებულ ერთეულებს; გაბნეული მუშები თავს იყრიან, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი არიან. ძლიერ საყურადღებოა ის, რომ პროფესიონალური კავშირები არა მარტო იცავენ მუშების პროფესიონალურ ინტერესებს, არამედ აყენებენ მრავალ საჭირ-ბოროტო პოლიტიკურ საკითხებს. პროფესიონალურ კავშირებში პოლიტიკური მისწრაფებანი სჭარბობენ. კავშირები უფრო პოლიტიკური ორგანიზაციები არიან, ვიდრე წმინდა პროფესიონალური. ევროპის მუშები გამოდიან როგორც მილიონი ორგანიზაცია.

პროფესიონალური კავშირები აყენებენ რთულ საკითხებს მრეწველობის და წარმოების შესახებ. ისინი მოითხოვენ ძირიან გარდაქმნას ეკონომიური ნიადაგის და მის ზედნაშენების. ისინი მოითხოვენ ნაციონალიზაციას მრეწველობის მთავარი დარგების, მაგალითად ნახშირის წარმოების მადნეულობის; რკინის გზების ნაციონალიზაციას. მოითხოვენ აგრეთვე წარმოებაზედ მუშათა ზედამხედველობას (მუშათა კონტროლს). მუშათა ორგანიზაცია მოითხოვს სახელმწიფოს უზენაეს ზედამხედველობას წარმოებაზედ, ეკონომიურ ურთი-ერთობაზედ. თავმოყრილი მუშები აყენებენ წმინდა სოციალისტურ პროგრამას. ირაზმებიან არა მარტო მუშები, ირაზმება მეორე მოწინააღმდეგე ბანაკიც—კაპიტალისტები. კაპიტალისტების დარაზმვა გამოიხატება წარმოების, კაპიტალების დაგროვებაში, კონცენტრაციაში.

ორივე ბანაკი—მუშა და კაპიტალისტები პირის პირ არიან წარმომდგარი—რასაკვირველია, საომრათ. ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობამ ომის შემდეგ, გაღრმავებული კრიზისის შემდეგ, რომელსაც ბოლო არ უჩანს—გააძლიერა კლასთა ბრძოლა; ეს ბრძოლა დღითი დღე რთულდება, ღრმავდება.

რა არის ეკონომიური კრიზისის მიზეზი, რა თვისებები ახასიათებს მას? როგორც იყო აღნიშნული ომიანობის შემდეგ შემცირდა წარმოება, შემცირდა საქონლის რაოდენობა, მაშასადამე ერთი თვისებათაგანი კრახის არის ის, რომ საქონლის რაოდენობა არ არის საკმარისი, მრეწველობა, წარმოება ვერ ამზადებს საკმაო რაოდენობას საქონლისას. თუ ეს დებულება მართალია, მაშინ იმ რაოდენობას საქონლისას რომელიც ბაზარზედ არის გასავალი უნდა ქონდეს. ეკონომიურ კრიზისის მიმდინარეობა კი ისეთი არის, რომ მიუხედავათ საქონლის სიმცირის მას გასავალი არა აქვს. იმიტომ, რომ, მიუხედავათ საქონლის ფასების შემცირებისა, მომხმარებელთა უმრავლესობისათვის საქონელი ხელმიუწდომელი არის, მას მყიდველი არა ყავს, ბაზარი შემოკლებულია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმას, რომ უდიდესი ბაზარი—რუსეთის ბაზარი დახურულია; სხვა და სხვა პოლიტიკური მიზეზების გამო რუსეთის მომხმარებელი ვერ გადის ევროპის ბაზარზედ და ამის შედეგი არის ის, რომ ევროპა იხრჩობა. არ არის სპარსეთის ბაზარი, ანატოლიის.

ეკონომიური კრიზისი, რომელსაც ევროპა განიცდის ორნაირი მიზეზით არის გამოწვეული: საქონლის რაოდენობა მცირეა, მაგრამ მცირე რაოდენობას საქონლისას გასავალი არა აქვს, რადგან ხალხი გაღატაკებულია, საქონელი მიუწდომელია მომხმარებლისათვის.

რა გამოსავალი მოსძებნა ევროპამ, მსოფლიო მეურნეობამ, რათა თავი დააღწიოს შექმნილ მდგომარეობას. ეკონომიური ნიადაგი არეულია ომის გამო, ნიადაგი დანგრეულია. კაპიტალისტური ევროპა ცდილობს დაუბრუნდეს ძველ გზებს, აღადგინოს ძველი წესები მეურნეობის, ეკონომიური ურთიერთობის, ესე იგი კაპიტალი ცდილობს ის დამპალი ნიადაგი შეირჩინოს, რომელმაც საშინელი საერთაშორისო ომიანობა შექმნა და მსოფლიოს ცხოვრება აატორიაქა. ომის გაკვეთილი ამაოდ რჩება.

შრომის წარმომადგენელი მუშათა კლასი იმ აზრისა არის, რომ ეკონომიური ნიადაგი დამპალია, მისი აღდგენა და მორჩენა ძველი საშუალებებით შეუძლებელია. მსოფლიო მეურნეობის ნიადაგი დაშლილია, მისი აღდგენა შეუძლებელია. ძველი ნიადაგი უნდა დაინგრეს, სავსებით მოისპოს და ახალ ნიადაგზედ უნდა აშენდეს მსოფლიო მეურნეობა. მას საფუძვლად უნდა დაედოს არა კაპიტალი და მის მონობა, არამედ შრომა. ომიანობის შედეგებმა, ეკონომიურ ურთიერთობის დანგრევამ პირის პირ დააყენა ორი მებრძოლი ძველი კაპიტალი და ახალგაზრდა შრომა.

ორი მებრძოლი გამზადებულია: აღმოსავლეთიდან ან რუსეთიდან ამ დავას გაცხარებულს, გაღრმავებულს პასუხი გასცეს: კაპიტალი უნდა დაემორჩილოს შრომას. შრომა მისი მატარებელი და წარმომადგენელი უნდა იქნეს საფუძველი ახალი ცხოვრების. მუშა, უნდა იქნეს ბატონ-პატრონი ერის, მსოფლიოს ბატონი და არა კაპიტალი.

რანაირად დამთავრდება ეს ისტორიული დავა, რომელმაც დღეს უმაღლეს გამწვავებამდე ავიდა. აღმოსავლეთის, რუსეთის, თუ დასავლეთის ევროპის გეზი გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს კაპიტალი, ძველი უკვე გაპარტახებული ძალა, აღდგება ნანგრევებიდან ძველი კაპიტალისტური ევროპა, თუ ახალგაზრდა, ჯანსაღი, ცხოველმყოფელი შრომა. კაპიტალისტი თუ მუშა?

ისტორიული დავა სწყდება. ვინ გაიმარჯვებს ძველი თუ ახალი ძალა?

რათქმა უნდა გამარჯვება დარჩება ახალგაზდა შრომას, ძლიერს სულით და შემოქმედებით მუშას, მშრომელს.

ს. ავალიანი.

# საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა

გახსნა რა ყრილობა, ამხ. ყურულაშვილი მიმართავს ყრილობას:

სანამ შეუდგებოდეთ დღის წეს რიგში მდგარ მოხსენების მოსმენას პროფესიონალური მოძრაობის ამოცანების შესახებ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ამხ. ანტიპოვს.

ამხ. ანტიპოვის გამოსვლას ხვდებიან ხანგრძლივი ტაშით.

## მისალმება რცპს—გან.

ჩვენ, ამბობს ამხ. ანტიპოვი, ისეთი წარმოდგენა გვქონდა, რომ აქაურ ამხანაგებში მძლავრი იყო მისწრაფება რუსეთისაგან დამოუკიდებელ პროფმოძრაობისადმი. ასეთი წარმოდგენა სანახევროდ გაქარწყლდა ბაქოში; მას შემდეგ, რაც გავეცანი თქვენი მუშაობის მასალებს, შემიძლია ვთქვა რცპკს—ში, რომ ყოველგვარი ლაპარაკი თქვენს მისწრაფებაზე განცალკევებულ არსებობისადმი უქმია და სიმართლეს მოკლებული და რომ თქვენ ლაპარაკობთ მუშათა მოძრაობის გაერთიანებაზე არა ნაკლებ, ვინემ ჩვენ. ამ ჟამად განსაკუთრებით საჭიროა ეს ერთობა. ორატორი გადადის დღევანდელი მომენტის და პირობების დახასიათებაზე, რომლებმაც გამოიწვიეს ეკონომიურ პოლიტიკის კურსში ცვლილების აუცილებლობა და, შეეხო რა პროფკავშირების როლს დასავლეთში და თანამედროვე საბჭოთა აღმშენებლობის პირობებში, ამბობს:

— ახლა პროფკავშირების წინაშე დგება უფრო მოქნილი მუშაობის ხანა. პროფკავშირებმა უნდა აწარმოონ მედგარი ბრძოლა სპეკულიაციასა, კაპიტალიზმსა და ახალ პოლიტიკის სხვა უარყოფით მხარეებთან. აქ თქვენ გამოარკვევთ ამოცანას ამა თუ იმ ზომების გამოყენებისას, რომლებიც უფრო სასარგებლოა სახელმწიფოსა და პროფკავშირებისათვის. მეთოდები ბევრია და მათ არჩევაზეა დამოკიდებული მუშაობის წარმატება. აი რატომ უნდა განვიხილოთ აქ ეს საკითხები. ყველაფერი,—ამბობს ამხ. ანტიპოვი,—დამოკიდებულია პროფკავშირების შეკავშირებასა და ძალაზე. ჩვენი გამოცდილების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ განსაკუთრებული ძალა ჩვენ პროფკავშირებს არ მოეპოვებათ. საჭიროა, რომ ყოველი მუშა შეგნებულად ეკიდებოდეს იმ მუშაობას, რომელიც უნდა იქნას გაკეთებული. დასასრულ ამხ. ანტიპოვი რცპკს-ს სახელით უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

## ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობის გაერთიანება.

(ამხ. ყურულაშვილის მოხსენება)

მომხსენებელი მოკლეთ მოგვითხრობს მუშათა მოძრაობის ისტორიას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში საერთოდ.

— ახლა,—ამბობს იგი,—როცა ჩვენ, მუშები უდგევართ სათავეში ხელისუფლებას ყველა რესპუბლიკაში; როცა პროფორგანოები აერთიანებენ თავის ირგვლივ მთელ მუშათა მასსას და წარმოადგენენ კლასობრივ ორგანოებს, პროფმოძრაობა არ შეიძლება შემოისაზღვროს განსაზღვრულ ტერიტორიულ ფარგლებით. ჩვენ უნდა ავავსოთ ის უფსკრული, რომელიც გასთხარეს მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა, მოვსპოთ ის განცალკევება, რომელიც მათ გამოიწვიეს ჩვენი რესპუბლიკების მუშათა კლასში. იგი უკვე მოსპობილია საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან, მაგრამ საჭიროა ჩვენი მთლიანობა ჩამოვაყალიბოთ პროფესიულ კავშირების საოლქო ორგანოს შექმნით, შევიდეთ, როგორც ორგანიული ნაწილი, საბჭოთა რუსეთის პროფმოძრაობაში, რომელსაც აერთიანებს რ. ო. პ. კ. ხ.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოთ შეცდომებს, რომლებიც მოგვახვიეს მენშევიკებმა,—ამბობს ამხ. ყურულაშვილი.

ყრილობა მოხსენებას ესალმება ოვაციით.

მოხსენების სიცხადის გამო კამათი არ იმართება და ყრილობა ერთხმად იღებს რეზოლიუციას, რომელიც ჩვენ უკვე მოგვქონდა მოყვანილი.

ყრილობა ტაშით ხვდება კენჭის ყრის შედეგების გამოცხადებას. პრეზიდიუმის წინადადებით ყრილობის მონაწილენი დგებიან და მომხდარ გაერთიანების აღსანიშნავად ასრულებენ „ინტერნაციონალს“.

## კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

(ამხ. ედელსონის მოხსენება)

8 თებერვლის დილის სხდომაზე მოისმინეს ამხ. ედელსონის მოხსენება კულტურულ-განმანათლებელ მოხსენებაზე.

თავის მოხსენებაში ამხ. ედელსონმა აღნიშნა, რომ შესაფერ კულტურულ ძალების უყოლობის და საშუალებათა ნაკლებობის გამო, კულტურული ორგანიზაციები განათლების სახ. კომისარიატის მხოლოდ დამხმარე ორგანოების როლს ასრულებდნენ. ამან კი ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ კულტურულ-განმანათლებელი ორგანოები დარჩნენ რაღაც უცხო ორგანოებად პროფმოძრაობის შიგნით. გარდა ამისა გამოცდილება კულტმუშაობაში ნაკლები გვაქვს ვინემ გამოცდილება სხვა საკითხებში. შეეხო რა პროფტექნიკურ კურსების საკითხს, ამხ. ედელსონმა განაცხადა, რომ კურსები უნდა იხსნებოდეს არა კურსების გულისათვის, არამედ მომზადებულ მუშაკების დამატებითი კადრის მოთხოვნილების მიხედვით, რომელსაც განიცდის ამა თუ იმ სახის წარმოება, ამ მოთხოვნილების გამორკვევა უნდა ხდებოდეს სამეურნეო ორგანოებთან ერთად. რომ ეს ასე იყოს, კურსები არ უნდა იყვნენ გაფანტულნი, მათ უნდა ახასიათებდეთ გარკვეულობა და მიზნად ჰქონდეთ მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება. საჭიროა აგრეთვე შეუდგეთ მუშათა ფართე მასსების საწარმოო აღზრდის განვითარებას ლექციების, საუბრების და სხვა გზით. უნდა გავაცნოთ იგინი ზოგად მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვთ წარმოებაში და მივაღწიოთ იმას, რომ წარმოებაში დაზგასთან მდგარი მუშა ითვალისწინებდეს, რა დამოკიდებულებაშია მის მიერ წარმოებული მუშაობა დანარჩენ წარმოებებთან.

წმინდა განმანათლებელი მუშაობა—მუშაობა უცოდინარობის სალიკვიდაციოდ დღევანდლამდე არ ატარებდა იძულების ხასიათს, არამედ შენდებოდა დაჯერებაზე, ხოლო ახლა ვაფასებთ რა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და უშვებთ რა მუშების მოხსნას მუშაობიდან ერთი-ორი საათით, სკოლაში სიარულისათვის, არ შეიძლება დაუშვათ დაუდევრობა, როცა სკოლაში ნაკლებად დადიან, ამიტომ საჭიროა შემოვიღოთ იძულების მომენტი—გავატაროთ უცოდინარობის ლიკვიდაცია მობილიზაციის გზით. ამას უკვე ატარებენ ბორჯომში და იძლევა კარგ შედეგებს.

გადავიდა რა სოციალურ აღზრდის საკითხზე, ამხ. ედელსონმა აღნიშნა, თუმცა არსებობს დებულება, რომელიც კავშირებს ანიჭებს უფლებას იყოლიონ სასკოლო საბჭოებში თავიანთი წარმომადგენლები, მაგრამ 100-ზე მეტ სკოლიდან ასეთი წარმომადგენლები მხოლოდ 8-ში გვყავს. საჭიროა უფრო მეტი ინტერესი გამოვიჩინოთ სკოლისადმი, კონტროლის გზით, რომელიც ხორციელდება წარმომადგენლების მონაწილეობით საბჭოებში.

უნდა აღინიშნოს, ამბობს ამხ. ედელსონი, რომ სათანადოთ ვერაა დაყენებული საქმე მუშათა ფაკულტეტისა, რომელზედაც არის 200 მსმენელი, მათგან 32 პროვინციიდან სამოსწავლო ნაწილი ძალიან დაბალ საფეხურზეა, ასე, მაგალითად, ვერ ვიშოვეთ 15 მილ. მან. ორი კათედრის მოსაწყობად.

რაც შეეხება მუშაობას ახალგაზრდობას შორის, ის უნდა წარმოებდეს სკოლა-კლუბების ორგანიზაციის გზით რომელნიც შეავსებენ სწავლა-განათლებას და ფაბრიკა-ქარხნის მოწაფეობისათვის სკოლის ორგანიზაციის საშუალებით. ეს სკოლები, განსაკუთრებით უკანასკნელნი, უნდა დაუახლოვოთ წარმოებას, განსაზღვრული საწარმოო ამოცანების მიცემით, რომელთა ასრულებით მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთო მუშაობაში.

თავის მოხსენების ბოლო ნაწილში ამხ. ედელსონი შეჩერდა კულტურულ მუშაობის ფინანსებით მომარაგებაზე, ამასთან აღნიშნა, რომ ფინანსებით დაკმაყოფილება ორგვარი უნდა იყოს. ერთი მხრივ უნდა შეუთანხმდეთ განათლების სახ. კომისარიატს და ადგილობრივად განათლების განყოფილებებს განსაზღვრულ ჯამის გაღებაზე კულტურულ მუშაობისათვის, მეორე მხრივი სამეურნეო ორგანოებმა უნდა გაიღონ სუბსიდია კულტურულ მუშაობისათვის, მათ უნდა შეიტანონ თავის ხარჯთ-აღრიცხვაში განსაზღვრული პროცენტი გასავლისა კულტურულ მუშაობისათვის. ეს მონაწილეობა განსაზღვრული პროცენტით სახელმწიფოებრივ და კერძო დაწესებულებათა მიერ კულტურულ მუშაობისათვის ხარჯებში უნდა იქნეს დაკანონებული. ამ ხარჯებში მონაწილეობისათვის უნდა მოვიზიდოთ კოოპერაციაც და თუ ის დამოუკიდებლად არ ეწევა ხარჯებს კულტურულ მუშაობისათვის, უნდა გაიღოს მისთვის საშუალებანი. ამხ. ედელსონის მოხსენების შემდეგ, მან ამომწურავი განმარტება მისცა ყველა კითხვებზე, რომლებიც წამოაყენეს ორატორებმა მოხსენების გამო კამათის დროს.

# საბჭოთა არჩევნები საქართველოში

## სიღნაღის მაზრა.

სიღნაღის სამაზრო საარჩევნო კომისია დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ მაზრაში არჩევნები უკვე დაწყებულია და ყოველგან რიგიანად მიმდინარეობს.

კომისიას სამაზრო ყრილობის მოწვევა გადაუწყვეტია 15 თებერვლისათვის.

## დუშეთის მაზრა.

დუშეთის სამაზრო საარჩევნო კომისია არჩევნების მიმდინარეობის შესახებ დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შემდეგს:

ბაზალეთისა და გრემის-ხევის თემში ამრჩეველთა რაოდენობა უდრის 3379 კაცს, რომელთაგან საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა 1866 ამომრჩეველი. სათემო საბჭოში არჩეულ 78 დეპუტატიდან 40 კომუნისტია, 10 კომკავშირის წევრი, 20 თანამგრძნობი და 8 უპარტიო.

დანარჩენ რაიონებშიაც არჩევნები დასრულდა ჩვენი სრულის გამარჯვებით. დაწვრილებითი ცნობებს დანარჩენ რაიონების არჩევნების შედეგებისას სამაზრო კომისია მიღებისთანავე აუწყებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

სამაზრო ყრილობის მოწვევა დანიშნულია 15 თებერვლისათვის.

## სამხრეთ ოსეთში!

სამხრეთ ოსეთის საარჩევნო კომისია დეპეშით იუწყება, რომ სამაზრო ყრილობის მოწვევა გადაიდო 21 თებერვლისათვის.

## ქ. ბორჯომი.

საარჩევნო კომისიის რწმუნებული დეპეშით იუწყება ბორჯომიდან, რომ ბორჯომის პროლეტარიატი და ულარიბესი გლეხები ყოველგან ხმას აძლევენ კომუნისტების სიებს. არჩეულ 83 დეპუტატში 65 კომუნისტია და 18 უპარტიო, რომელნიც თანაუგრძობენ კომუნისტებს.

დანარჩენ რაიონებში არჩევნები გრძელდება.

# კოოპერაცია

## კოოპერატიული თათბირი

### შექმნილ ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ

9 თებერვალს საღამოს, ცეკავშირის ინიციატივით, მოწვეულ იქნა ფართო კოოპერატიული თათბირი, სადაც ღებულობდენ მონაწილეობას: ცეკავშირი, ცენტრო კავშირი, კოოპერატიული ბანკი, მუშათა მთლიანი კოოპერატივი, თბილისის რაიონული კოოპერატივების კავშირი და სხვა კოოპერატივები, როგორც „თბილისის კოოპერატივი“ და სხვ. თათბირი მოწვეული იყო იმ მიზნით რომ გამოერკვიათ კოოპერატიული ორგანიზაციების მდგომარეობა შექმნილ ფინანსიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

თათბირზე გამოირკვა რომ ყველა პირვანდელი კოოპერატივები, რომლებიც აწარმოებენ წვრილათ ვაჭრობას, დაიბნენ მოულოდნელად შექმნილ მდგომარეობის გამო, თითქმის მთელი 8 თებერვლის განმავლობაში კოოპერატივები იღებდენ გაყიდულ საქონელში რუსეთის ფულის ნიშნებს და მხოლოდ საღამოს იქნა მიღებული ცნობა რუსეთის ნიშნების მხოლოდ ერთი მესამედის მიღების შესახებ. ეს განკარგულება ძალაში რჩებოდა 9 თებერვალსაც, როდესაც კერძო ვაჭრებმა კატეგორიული უარი განაცხადეს რუსეთის ფულის ნიშნებით საქონლის გაყიდვაზე. მხოლოდ 12 თებერვალს 1 საათზე გაიცა განკარგულება რუსეთის ფულის ნიშნების მიღების დროებით შეჩერების შესახებ.

კოოპერატივებს მიაწყდა აუარებელი მყიდველები, რომლებსაც უნდოდათ გაესაღებინათ რუსეთის ფულის ნიშნები და ამიტომ ყიდულობდენ განურჩევლათ ყოველ გვარ საქონელს.

თათბირმა გამოიტანა დადგენილებების მთელი რიგი კოოპერატიული ორგანიზაციების ტაქტიკის შესახებ უახლოეს დღისთვის (10 თებერვლისათვის), რადგანაც შეუძლებელი იყო მდგომარეობის გამო უფრო მეტი ხნით დადგენილების გამოტანა. 10 თებერვალს საღამოს უნდა შემდგარიყო მეორე თათბირი საჭირო ზომების გამოსამუშავებლად. 2-ე თათბირმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1) მიმართონ მოწოდებით ყველა კოოპერატივებს დაიცონ სიმშვიდე, ნუ აყვებიან ბაზრის პანიკას და მტკიცედ გაატარონ თავის მუშაობა მომხმარებელ ფართო მასების სასარგებლოდ.

2) გაიხსნას 10 თებერვალს ყველა დუქნები, სავაჭროები და აწარმოონ ვაჭრობა ჩვეულებრივი წესით დაწესებულ საათებში.

3) განისაზღვროს საქონლის ვაჭრობა სანოვაგის გაყიდვით და დროებით შეჩერებულ იქნას ყოველგვარი ფაბრიკატების გაყიდვა.

4) პროდუქტები გაიცეს ნორმით მხოლოდ კოოპერატივის წევრებზე.

5) კოოპერატივის წევრებისაგან, რომლებსაც არ ექნებათ საკმაოდ ქართული ნიშნები, მიიღონ რუსეთის ფულების 30 პროც.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ვიმეორებთ, რომ ყველა ეს დადგენილებები მიღებულია სახელმძღვანელოდ 10 თებერვლისათვის. ეს შენიშვნა საჭიროა განსაკუთრებით 5 მუხლისათვის.

ამის გარდა თათბირმა აირჩია განსაკუთრებული კომისია შექმნილ მდგომარეობის შესახებ ფინანსთა კომისართან მოსალაპარაკებლად, უმთავრესად კი, რუსეთის ფულის ნიშნების შესახებ, რომლებმაც თავი მოიყარეს კოოპერატიულ ორგანიზაციებში. დაახლოვებითი გამოანგარიშებით საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციებში თავი მოიყარა 10 მილ. მან. რუსეთის ნიშნებმა. და მარტო თბილისში მათი ჯამი უდრის 4—5 მილიარდ მანეთს.

# სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებების კონფერენცია

10—12 იანვარს თბილისში სწარმოებდა სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილების პირველი კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ წარმომადგენლები 15 სამაზრო სოციალ-უზრუნველყოფის განყოფილებიდან. (სულ 19 განყოფ.). განიხილეს დღის წესრიგში დასმული ყველა საკითხები და გამოიტანეს სათანადო რეზოლიუციები (9 რეზოლიუცია). კონფერენციამ გაუგზავნა მისალმების დეპეშები: საქართველოს რევკომს, თბილისის მუშების და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოს, კომპარტიის ცეკას და საბჭოთა რუსეთის სახალხო ჯანმრთელობის კომისარს.

მიღებულ რეზოლიუციებიდან მოგვყავს შემდეგი მათგანი:

**საქართველოში სოციალურ უზრუნველყოფის საერთო პოლიტიკის შესახებ.** ამ საკითხის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სოციალურ უზრუნველყოფის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს რადიკალურად და ამ პოლიტიკის საფუძვლად უნდა დაიდოს შემდეგი ძირითადი დებულებები: 1. სოციალური უზრუნველყოფა მშრომელების ყველა ჯგუფებისა (და დაქირავებული შრომის პირები) უნდა აწარმოოს მხოლოდ სოციალ. უზრუნველყოფის კომისარიატმა; 2. პლანომერული უზრუნველყოფა უნდა გავრცელდეს მხოლოდ შემდეგ 4 სოციალურ ჯგუფზე: ა) დაქირავებული შრომით მომუშავენი, ბ) გლეხები, გ) ომისგან დასახიჩრებული და წითელარმიელის ოჯახები, დ) დამოუკიდებელი შრომით მომუშავენი, რომლებიც არ ეწევიან სხვისი შრომის ექსპლოატაციას (ხელოსნები, შინა მრეწველები და სხვ.).

დანარჩენები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას უზრუნველყოფილი იქნებიან შეძლების გვარად (ერთდროული დახმარებებით, დასახიჩრებულთა სახლებში მოთავსებით და სხვ.). 3. ამ ჯგუფების უზრუნველყოფის ორგანიზაცია ითვალისწინებს დაინტერესებულ მშრომელთა მოწვევას მათი უზრუნველყოფის საქმის გასაუმჯობესებლად სათანადო სექციების მოწყობით (მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა, შინამრეწველ-ხელოსანთა სექციები); 4. საშვალებები გლეხების უზრუნველსაყოფად უნდა გამოძებნილ იქნას თითონვე გლეხების მიერ: მუშებისათვის—მწარმოებლებისგან შეტანილ დამზღვევ გადასახადებიდან (აქ უნდა ჩავრიცხოთ სახელმწიფოც, რამდენადაც მას ჰყავს დაქირავებული მუშები და მოსამსახურეები თავის წარმოებებში და დაწესებულებებში); შინამრეწველების და ხელოსნების უზრუნველყოფა უნდა ჩამოყალიბებული იქნეს ურთიერთი დაზღვევის გზით: წითელარმიელების ოჯახების და გლეხების უზრუნველსაყოფად უნდა გამოყენებულ იქნან გლეხების საურთიერთო დახმარების ორგანიზაციები; 5. უზრუნველყოფა უმთავრესად უნდა ჩამოყალიბდეს სამეურნეო და შრომის ფორმებში, ომისგან დასახიჩრებულთა შრომის უნარიანობის აღდგენაში, პროფესიონალური და სხვა სწავლის მიცემაში, დასახიჩრებულთა სახლებში მოთავსებაში და სხვ., რაც შეძლებას მოგვცემს დავიყვანოთ მინიმუმამდი ფულის სახით უზრუნველყოფა.

**ომისგან დასახიჩრებულთა და წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა.**

რეზოლიუციაში ამ საკითხის შესახებ აღნიშნულია, რომ წითელ არმიის გაძლიერება მოითხოვს ყოველ მხრივ და სრულ უზრუნველყოფას ომისგან დასახიჩრებულების და წითელი არმიელების ოჯახებისას; მხოლოდ ამ უზრუნველყოფას საჭიროა ცოტა სხვანაირად მიუდგეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს. ძირითად დებულებებს შორის რეზოლიუცია აღნიშნავს შემდეგს: 1. ომისგან დასახიჩრებულთა და წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა უნდა გატარდეს განსაკუთრებულ წითელარმიელთა სექციაში (სახალხო უზრუნველყოფის კომისარიატთან და სამაზრო განყოფილებებთან) სადაც უნდა მიწვეულ იქნან წითელი არმიის, ომისგან დასახიჩრებულთა და წითელარმიელების ოჯახების წარმომადგენლები; 2. ომისგან დასახიჩრებულთა უზრუნველყოფის დროს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება მათ შრომის უნარიანობის აღდგენას (პროტეზები, წამლობა), პროფესიონალურ და ტეხნიკურ ცოდნას; უნდა მიეცეს ომისგან დასახიჩრებულებს სათანადო მუშა[illegible] [illegible]მოებებში და [illegible] ექცეს ყურადღება სახელოსნოების განვითარებას მათზე სახელმწიფოსაგან შეკვეთების მიცემით; უნდა მოეწყოს ასეთი სახელოსნოები დასახიჩრებულთა სახლებში და იმ შემთხვევაში თუ არ ექნა სხვა რაიმე დახმარება, უნდა დაენიშნოს პენსია. 3. წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა და სხვა ჯგუფები, რომლებსაც ეკუთვნიან წითელარმიელები, და სხვა და სხვა სახით უნდა იქნეს განხორციელებული მათი დახმარება წითელარმიელთა ოჯახებისათვის ფართოდ უნდა გატარდეს სასოფლო სამეურნეო დახმარება; ქალაქის წითელარმიელებს და მუშებს უნდა შეუმსუბუქდეს არსებობის საერთო პირობები: შრომის უნარიანებისათვის საშრომო დახმარების ორგანიზაციების მოწყობით და შრომის უნარ მოკლებულებისათვის და უპატრონოებისათვის დასახიჩრებულთა სახლებში მოთავსებით და სხვ. ამასთან უნდა გამოყოფილ იქნას ცალკე დაღუპულ წითელარმიელების ოჯახების უზრუნველყოფა. 4. სასწრაფოდ გატარდეს დეკრეტით ამ ჯგუფის უზრუნველყოფა და დაერთოს დეკრეტი ომისგან დასახიჩრებულთა და წითელარმიელთა ოჯახების შესახებ უკვე გამოცემული დეკრეტი № 41, რომელშიდაც არაფერია ნათქვამი ომისგან დასახიჩრებულთა და წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფაზე.

**სარედაქციო კოლეგია.**


გამოვიდა და იყიდება

## მოძრავი სამაგიდო კალენდარი

1922 წლისათვის

კალენდარი დასტამბულია კარგს სქელ ქაღალდზე. მისი შეძენა შეიძლება „გოსიზდატ“ ში, ლორის-მელიქოვის ქ., № 5, განათლების კომისარიატის შენობა. (6—3)

## 1922 წელს

## გამოვა საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

„ჯეჯილი“, მოზრდილთათვის, წელიწადი—მეოცდა ცამეტე.

„ნაკადული“, მცირე წლოვანთათვის, წელიწადი—მეჩვიდმეტე.

ჟურნალები გამოდის სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ-მართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით.

**ხელის მოწერა მიიღება ორივე ჟურნალზე ყოველ თვიურად და ღირს** 14 ათასი მან., ცალკე—„**ნაკადული**“—7 ათასი, „**ჯეჯილი**“—7 ათასი მან.

სასწავლებლებს დაურიგდებათ უსასყიდლოდ.

მისამართი: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, სახალხო განათლების კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია. (2—2)

გაზეთების მველ აგენტთა

## საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა („გოსიზდატ“-ი) წინადადებას აძლევს საპროვინციო კონტრ-აგენტებს და იმ პირთ, რომლებიც თავის დროზე ასრულებდენ პერიოდული გამოცემების პროვინციებში გავრცელების საქმეს, მოაწყონ ჩამოტარებით გაყიდვა და ხელის მოწერის მიღება ყველა ცენტრალურ გაზეთებზე, და უჩვენონ, ამასთანავე, ყველა დაკვეთებისათვის მისამართი: „გოსიზდატ“-ში: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 5. დაკვეთებისათანავე, უნდა გაეგზავნოს „გოსიზდატ“-ს ფულის საჭირო რაოდენობა, ურომლისოდ გაზეთი არავის გაეგზავნება. (6—3)

## მიიღება განცხადებები

**გაზეთებში „კომუნისტი“, „პრავდა გრუზიი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლ“.**

ფასი 1 სტრიქონ პეტიტში 15,000 მან. თეატრების, კონცერტების, ლექციების და შრომის წინადადებების მიღება განსაკუთრებული ნიხრის მიხედვით.

განცხადებათა მიღება წარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში), ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ტელეფონი 6—43. განათლების კომისარიატის შენობა.

**გ ა გ ზ ა ვ ნ ა**

გაზეთები: „კომუნისტი“, „პრავდა გრუზია“, „კარმირ ასტღ“ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომლებიც არ გამოგზავნიან ხელის მოწერის საფასურს იანვრისა და თებერვლის თვეებისათვის 20 თებერვლამდე **უსათუოდ მოესპობათ.**

მისამართი და ხელის მოწერის ვადა უნდა აცნობონ არა ცალკე წერილით, არამედ აუცილებლად ფულის გადასატან საფოსტო ბარათზე.

1922 წლისათვის 1922 წლისათვის

## მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „პრავდა გრუზია“-ზე

1922 წლისათვის

**ხელის მოწერის პირობები:**

ერთი თვით ტფილისში და პროვინციაში მიწოდებით 120.000 მან.
გაუგზავნელად 100.000 მან.

**ერთის ნომრის ფასი ტფილისში 5000 მან.**

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისა ქოხ სამკითხველოთა და წითელ არმიელთა კლუბებისათვის 1 თვით გაგზავნით 60.000 მან., გაუგზავნელად—50.000 მან.

ხელის მოწერისა და განცხადებათა მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში, განათლების კომისარიატი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდი.

ტელეფონი № 6—43.


ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4